სამეცნიერო-საპედაგოგიო ჟურნალი

19.
18/1919
-70-

წელიწადი მე XII.

1919 წ. № 1.

განათლება

(ად. სან. მასწავლებელთა კავშირთა ორგანო)

ფასი ერთ ეგზემპლარისა — 20 მ.

თბილისი, 1919. სტამბა ვ. რუხაძისა, გაბაშვილის შესახვევი, № 1.

შინაარსი:

1. „მეცნიერება და სახალხო განათლება“ (1—11) ლ. ბოცვაძე.
2. „კლასის აღმზრდელთა ინსტიტუტი“ (11—29 ი. ვერთაგავა.
3. „სიტყვიერება“ (30 - 33) ვ ბარნოვი.
4. „სახალხო სკოლის პროგრამა“ (34 - 54) ლ. ბოცვაძე.
5. „ჩვენი სახალხო სკოლა“ (54—56) ი. გომელაური.
6. „ილია ჭავჭავაძე თბილისში“ (56—63) ა. ლეისტი.
7. „რა მოგვცა ყოფილმა განათლების სამინისტრომ? (64) ფ. მ.
8. „აღმოსავლეთ საქართ. სკოლების მასწ. კავშირის დელეგატთა ყრილობა.
9. „აღმოსავლეთ საქართ. სახ. სკ. მასწ. კავშ. წესდება.
10. „საპენსიო კასის წესდება“.
11. „სრულიად საქართ. მასწ. კავშირის წესდების პროექტი.
12. „საშვალო სკოლ. მასწ. კავშ. წესდება და სხვა“.

ხელის მოწერა მიიღება წ. ბ. გ. საზ. კანცელარიაში.

(ახალი ხელის მომწერლები მიიღებენ წარსული წლის №-ებს.).

სარედაქციო კოლეგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო და საპედაგოგიო ჟურნალი

განათლება

წელიწადი XII

1919 წლის პირველი წიგნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერება და სახალხო განათლება

I

წარსულმა საუკუნემ ბევრი ტანჯვა აგრძნობინა ქართველ ერს, მაგრამ ყველაზე უსაშინელესი იყო ის საწამლავი, რომელიც თან სდევდა სახალხო განათლების საქმეს მოზარდ თაობის გადაგვარების სახით. ის ცოდნა, რასაც ჩვენი ახალგაზდობა რუსულ სკოლებში იძენდა უცხო ენის საშუალებით, სრულიად მოწყვეტილი იყო პრაქტიკულს ცხოვრებას. რუსულმა სკოლამ ჩაჰკლა ქართული კულტურა, დაიჩაგრა ქართული მეცნიერება და მეთვრამეტე საუკუნიდან დაწყებული აღორძინების ხანა ჩრდილოეთის ქარმა გაჰყინა. რაკი ჩვენი ახალგაზდობა უცხო ენაზე გაზეპირებულის და ცხოვრებასთან დაშორებულის ცოდნით იკვებებოდა, ამიტომ ჩვენს ქვეყანას, პოლიტიკურად მუხრუჭ მოჭერილსა და თავისუფალ გონებრივ მუშაობას მოკლებულს, სათანადო წინმსვლელობა არ ეტყობოდა. ქართველი ერის ცხოვრება თავის გზით მიდიოდა, ეროვნულ ნიადაგს მოკლებული უცხო მეცნიერება მას ვერ ეგუებოდა და ცხოვრებასა და მეცნიერების შორის რაღაც ჯურღმული არსებობდა. მაშინ როდესაც სინამდვილეში ცხოვრება და მეცნიერება განუყრელია, ორივე მუდამ ერთმანეთზე გადაკვანძულია, ჩვენში მათს გაყრა-გათიშვას მუდამ ცდილობდენ და, რასაკვირველია, ამის გამო ქვეყანას ხეირი არა დაეყრებოდა რა.

რუსების ცნობილ კრიტიკოსის ბელინსკის სიტყვით—ცხოვრება გრძნობასა, აზროვნებასა, ტანჯვასა და ნეტარებას ნიშნავს და რამდენადაც ჩვენს გრძნობა-აზროვნებაში მეტი შინაარსია, იმდენად ტანჯვა-ნეტარებაც უფრო ძლიერია და მაშინ ცხოვრების ძალასაც მეტს ვიჩენთ. ადამიანის ცხოვრება ვერსად იმდენს სიცოცხლეს ვერ იჩენს, როგორც სულიერ ინტერესებისა და გონიერულ შეგნების ფარგლებში, რომელიც ადამიანის ნებისყოფას ამოძრავებს და მის განუწყვეტელს მოქმედებაში ხელს უწყობს. ეს არის სიცოცხლის უმშვენიერესი ყვავილი, მისი უმაღლესი განვითარება, მაღალი საფეხური, უწარჩინებულესი ცხოვრება. სხვა, მასთან შედარებით, დაბალი ხარისხის ცხოვრება ნამდვილი სიკვდილია. მაგრამ თუ ცხოვრება ცოდნით არ არის გაშუქებული,

ადამიანურ ცხოვრებას არ წარმოადგენს, იგი უბრალო ბიოლოგიური პროცესი იქნება. მართალი იყო მეთვრამეტე საუკუნის პოეტი, რომელმაც გვიანდერძა: „თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელიო“. უმეცარ ადამიანს არ შეუძლიან ბუნების ბატონი გახდეს, თუმცა როგორც ადამიანი, ისიც ბუნების გვირგვინად ითვლება; უვიცი ადამიანი ბუნების მონაა, იგი ვერც ცხოვრების საუკეთესო იდეალს დაისახავს და ვერც მიაღწევს იმ სისრულეს, რომელიც სიმართლის, ჭეშმარიტების, სიმშვენიერისა და სოციალ სამართლიანობის განხორციელებაში გამოიხატება. ამიტომ დღევანდელ ჩვენს საერთო საზრუნავ საგანს შეადგენს, როგორც ახალი ცხოვრების განმტკიცება, ისე მასთან ერთად ხალხში განათლებისა და მეცნიერების გავრცელება, რომელსაც მტკიცე საძირკველი დღეიდანვე უნდა ჩაედგას.

II

ცოდნა უმთავრესი ძალაა არსებობისათვის ბრძოლაში, იგი იმავე დროს უძლიერესი იარაღია საკაცობრიო პროგრესისა. მე ვამბობ არა ყოველ დღიურ ცოდნის შესახებ, რომელიც ჩვეულებრივი მუშაობისაგან გამომდინარეობს და მიმართულია ამა თუ იმ მიზნისკენ, არამედ — სამეცნიერო ცოდნის შესახებ, რომელიც მრავალმხრივი ცდისა და სისტემატიური დაკვირვების შედეგია. დღეს ყველას ნათლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი, რომ ყოველგვარი საზოგადოებრივი სიკეთე მეცნიერებისაგან წარმოსდგება, რადგანაც იგი ადამიანის სულის ყოველ მხარეს ეხება, როგორც გონებრივს, ზნეობრივს, ლიტერატურასა და მხატვრულს, აგრეთვე პრაქტიკულსა და სამრეწველო მხარესაც. ყველგან და ყველაფერში გამოსაჩენია ბუნების კანონების ცოდნა. როცა ბუნების კანონები ცხადად გვაქვს წარმოდგენილი, როცა ამ კანონებს ვემყარებით და კიდეც გვწამს იგი, იმავე დროს აუცილებლათ ვცდილობთ საუკეთესო რამ ღონისძიება გამოვძებნოთ უმრავლესობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ვეტრფით როგორც კერძოს, ისე საზოგადოებრივს სიკეთესაც, რომელნიც ყოველ დღიურის სიცხადით ერთმანეთში განუყრელია. ამ სახით შეუჩერებელ მეცნიერებას გადუხრელად თავის გზით მივყევართ, იგი ადამიანზე რწმენის საშუალებით მოქმედებს; მეცნიერება ერთსა და იმავე დროს ჰხიბლავს კერძო პიროვნებას და აქეზებს განუწყვეტლივ განავითაროს და სრულჰყოს თავისი ნიჭი, ჰხიბლავს მთელ ხალხსა და მრუწოდებს გონებრივი და ზნეობრივი მიმართულების ერთობისაკენ, რასაც კაცობრიობა ყოველთვის იდეალად ისახავდა.

აწინდელმა მეცნიერებამ ბევრი რამ შეაძინა კაცობრიობას: აუარებელი სხვა და სხვა მანქანები, ორთქლმავალი, ჰაეროპლანი, კინემატოგრაფი, ტელეფონი, ელექტრონი და სხ. მეცნიერებამ აღმოაჩინა მრავალი საშუალება სნეულობათა წინააღმდეგ საბრძოლველად; მეცნიერებამ შეგვაძლებინა ბუნების ძალებთან ბრძოლა, ამ ძალების დამორჩილება და სასარგებლოდ გამოყენება; მეცნიერება შეძლებას გვაძლევს ადამიანთა ცხოვრება საუკეთე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოდ მოვაწყოთ, მაგრამ ამ უზარ მაზარ ძალას, სამეცნიერო ცოდნას დღემდის მოკლებული ვიყავით, ეს ჩვენთვის აკრძალული ხილი იყო და ამ დიადი ძალით მხოლოდ რჩეულნი, ან მდიდრები თუ აღიჭურვებოდნენ ხოლმე და ისიც უცხო ენაზე, უცხო ერისა და არა მშობლიური ღვიძლი ერის სასარგებლოდ; მშრომელი მასა, გლეხკაცობა, მუშები ისევ უმეცრების წყვდიადით იყვნენ მოცულნი. თუ მეცხრამეტე საუკუნის ინგლისელი ცნობილი ისტორიკოსი და ბრძენი კარლეილი ცხოვრების ტრაგედიად აღიარებდა, რომ ერთი ნიჭიერი ადამიანიც კი გაუნათლებელი გარდაცვლილიყო, ცხადია რამდენი ტრაგედია დატრიალებულა ქართველ ერის ცხოვრებაში იმის გამო, რომ ქართველი ერი მოკლებული იყო საერთო, საყოველთაო, სავალდებულო სწავლა-განათლებას და სამეცნიერო ცოდნის შეძენას. ევროპაში, ამერიკაში და სხვა განათლებულს ქვეყნებში სახალხო უნივერსიტეტები, სხვა და სხვა კერძო თუ საერთო კავშირების მიერ დაარსებული კურსები მოზრდილთათვის, დამატებითი სკოლები და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებანი ორისავე სქესის აუარებელ მსმენელებს იზიდავენ ამ დაწესებულებათა სრული წარმატება და მსმენელთა სიმრავლე აკადემიკოს გ. ბარტელოს სიტყვით იმისი უტყუარი ნიშანია, რომ საზოგადოების ყართო მასამ უკვე შეიგნო სამეცნიერო განათლების დიდი საჭიროება და არაფერს ზოგავს, რომ საჭირო ცოდნით აღიჭურვოს. მუშები სამართლიანად თხოულობენ—ჩვენ მუშები ვართ და მუშაობა ცოდნის გარეშე შეუძლებელია. ეს სულ მართლიანი წყურვილი მშრომელი კლასისა. მუშებმა იციან, რომ ცოდნის შეძენას აზრის გამოფხიზლება მოჰყვება, აზრი კი მასას შეგნებასა და ძალას აძლევს სოციალურ ბრძოლაში განათლებულ კლასთან თანასწორ პირობებში ჩადგეს, რაკი თვითონვე განათლებული იქნება. მუშებმა ისიც შეიგნეს, რომ უმეცარი მუშა, რომელიც მანქანის ჩარხს ატრიალებს, მანქანას ემორჩილება და მისი მოწყობილობისა და კანონებისა არა გაეგება რა, საცოდავი არსებაა, იგი ჰკარგავს თავის პიროვნებას, უბრალო მანქანის ნაწილი ხდება, მხოლოდ მოძრაობას გადასცემს იმ მთლიან მექანიზმს, რომელიც მასზე ბატონობს, იმონებს, პირუტყვივით გონებას უჩლუნგებს და ძველ მონის მდგომარეობაში აყენებს. მაგრამ მეცნიერება წინ მიდის, მანქანების ასამოძრავებლად მუშის ხელი საჭირო არ არის, სამუშაოსაც მანქანა ასრულებს მხოლოდ იმ პირობით, რომ მისი მომართვა გონებით განვითარებულის ადამიანის ხელში იყოს და არა უვიცისა. და აი სწორედ აქ სცენაზე გამოდის მეცნიერულად განსწავლული, მომზადებული მუშა, რომელმაც უნდა იცოდეს, როგორც მანქანის გამოყენების კანონები, ისე ყოველი ნაწილის დანიშნულებაც, იგი ეჩვევა მანქანის გამართვასა და იმ დროიდან დღიური შავი მუშა ტეხნიკოსია; ჯურღმული, რომელიც დღემდის მუშათა შორის არსებობდა, ივსება, სწორდება, მანქანების წარმოებითი ძალა ახალ-ახალ ღირებულებასა ჰქმნის, რის გამო უსაჭიროესი საქონლის ფასი კლებულობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მით მუშათა კეთილდღეობაც წარმატებაშია. აწინდელი მეცნიერების ნაყოფი და იმედი, რომ ეს ნაყოფი მომავალში უფრო გაბევრდება და სასარგებლო იქნება უმრავლესობისათვის, თანდათან უღვიძებს სურვილს მრეწველსა და ვაჭარს დღევანდელი საქმით წახალისებული მოჯამაგირე ამხანაგად გაიხადოს. მეცნიერება, როცა მუშა ხელის პირად ღირებულებას აბევრებს, ხშირად ერთისა და იმავე პროფესიის ჯგუფის ორგანიზაციის მოწყობით, სინდიკატების დაარსებით, ისე ახერხებს საქმეს, რომ კაპიტალისტი სრულიად საჭირო არ არის. ასეთი გარემოება ერთის მხრით ხელს უწყობს ხალხთა შორის დამოუკიდებელი გრძნობისა და პირადი ღირსების ზოგად ზრდას და მეორე მხრით საზოგადოებრივის სხვა და სხვა კლასთა შორის ნივთიერისა და ზნეობრივი სოლიდარობის ღრმა შეგნება მტკიცედ იკიდებს ფეხს. საერთოდ-კი ხელს უწყობს საზოგადოებათა საუკუნებრივ-ს ევოლუციისაკენ ახალი ნაბიჯის წინ გადადგმას.

მეცნიერება ყოველ აღმოჩენილ ბუნების კანონს, ბუნების ძალებს ხმარობს საერთო სიმდიდრის განსავითარებლად, რომელსაც სარგებლობა მოაქვს, როგორც კერძ-დ, ისე საზოგადოდ მთელის ერისათვის, რადგანაც ყოველი პიროვნების საწარმოო ნიჭი ფართოვდება იმის კვალობაზე, თუ რამდენად სარგებლობს ესა თუ ის პიროვნება ბუნების ძალებს, რომელსაც იგი თავის სასარგებლოდ მომართავს. ამ სახით ზოგადი და კერძო სიმდიდრე ერთსა და იმავე დროს ვითარდება და შედეგად ამას კაცობრიულ ცხოვრების ნივთიერ პირობათა საყოველთაო გაუმჯობესობა მოჰყვება, რაც, რასაკვირველია, საზოგადოების დაბეჩავებულ ელემენტებსაც გამოაბრუნებს. ახლაც, შედარებით, რასაკვირველია, დღევანდელი საზოგადოება მაინც მაღლა სდგას წინა საუკუნის საზოგადოებაზე და დღემდინაც რომ ჩვენი თავი „საწველ ფურად“ არ გაგვეხადნა, ჩვენს ხელთ ყოფილიყო და მეცნიერებას დავწაფებოდით, ვინ იცის რამდენად წინ ვიქნებოდით და რა გონებრივი და ზნეობრივი სიმდიდრის პატრონი შევიქნებოდით. დღეს კი ჩვენს საზოგადოებრივს ცხოვრებაში არა ერთი ბოროტმოქმედება და უსამართლობა სუფევს, მაგრამ, უეჭველია, ახალი ცხოვრება, რომლის განმტკიცებას მთელის ჩვენის ძალღონით უნდა ვცდილობდეთ და მეცნიერებისადმი დაწაფება, შესწავლა და მისი კანონების ცხოვრებაში გამოყენება თან და თან მოსპობს ისეთს უსამართლობას, რომელსაც დღევანდელ საზოგადოებაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს.

ყოველგვარი სიკეთე, რაც დღეს გვაქვს და რასაც მომავალში მოველით, იქნება შედეგი მეცნიერებისა და სახალხო განათლებისა. საზოგადოებრივი სიმდიდრის განუწყვეტელი ზრდა მჭიდროდ დაკავშირებულია წმინდა და ცხოვრებაში გამოსეყენებელ მეცნიერებასთან. მაგრამ მეცნიერება მარტო ნივთიერ სიმდიდრეს კი არა ჰქმნის, მეცნიერულად განვითარებულს ხალხს დიდი ზნეობრივი ენერგიაც შესწევს. ამ გზით თითოეული ერი ვითარდება და ასეთს განვითარებასთან ადგილი არ ექნება არც მონობას, არც სხვის და-

ჩაგვრას, დაპყრობას, ქვეყნის აოხრება-განადგურებას. ომი და იმპერიალიზმი აკადემიკოს ბარტელოს სიტყვით, ყოველთვის თავდება იმათი დამარცხებით, ვინც სხვის დამორჩილებაზე, ხიშტზე და უკანონობაზე აგებს თავის კეთილ დღეობას. დღევანდელი საერთაშორისო ომის შედეგებიც ამართლებენ ამ აზრს. ყოველი ზარალი, რასაც ომის საშუალებით აყენებენ კერძო პირს თუ ხალხს, ზარალია მთელის კაცობრიობისა—ზარალი ნივთიერი წართმეულ და აოხრებულ, განადგურებულ ღირებულებაშია და უფრო სამწუხარო კი ზნეობრივი ზარალია, ვინაიდგან ძალმომრეობით და ერთურთის დაჩაგვრით ბუნებრივი კავშირი ერთა შორის ძლიერ სუსტდება. განა ამას დღეს არ უნდა გრძნობდეს ყველა განათლებული ერი? სხვა და სხვა ერთა შორის ერთურთი განწყობილება, სოლიდარობა მშრალი განყენებულება არ არის, ამ სოლიდარობას აწინდელს მეცნიერებაში აქვს ფესვი გადგმული და საღი მეცნიერებაც ერთა შორის კეთილ განწყობილებას ყოველთვის ხელს უწყობს.

აწინდელმა მეცნიერებამ, რომელიც თავისუფლად შეიძინეს განათლებულს ქვეყნებში, ხალხთა განთავისუფლების საკითხიც წარმოშვა. დღეს თავისუფალ ქვეყნის ყოველი მოქალაქე სასარგებლო ცოდნის შეძენით პირადი თავისუფლების შემოქმედია. აქედან გამომდინარეობს საყოველთაო სიმდიდრის დაგროვება, მეცნიერული ცოდნის შეძენით გამოწვეული, რომელიც დასასრულ ქონების გათანასწორებისკენ მიისწრაფვის.

მეცნიერების განვითარებას ზნეობის მხრითაც დიდი სიკეთე მოჰყვება—ბრძოლა რიტების წინაშე, რასაც მეცნიერება აღიარებს, ყველამ ქედი უნდა მოიდრიკოს, რადგანაც ჭეშმარიტება ყოველთვის ისეთს ფაქტებსა და კანონებს ემყარება, რომლის შერყევის სურვილი ბავშური იცნება იქნებოდა. ამიტომაც მეცნიერება შეუდარებელი სკოლაა ზნეობრივი გულწრფელობისა და სიმშვიდისა. იმავე დროს მეცნიერება გვიფარავს ათასგვარ გონებრივის სიბეცისაგან. წინააღმდეგ ძველი დროის ბრმა და უძრავი დოღმებისა და აუარებელ ცრუმორწმუნოებისა, რომლითაც გაჟღენთილია უვიცი ხალხის ცხოვრება, მეცნიერება გვაძლევს თავისუფლად დამყარებულ თეორიებს, რომლის საშუალებით ისპობა ქვეყნად მრავალი უსამართლობა და სამაგიეროდ კაცთა შორის სრული სათნოება, თანასწორობა და ძმობა მყარდება საერთო შრომის ნიადაგზე ეს არის იდეალი, რომელსაც დღევანდელი მეცნიერება უსახავს კაცობრიობას. ამიტომაც მეცნიერება უუდიდესი საზნეობრივო ძალაა, რომელზედაც უნდა ემყარებოდეს თითოეული ადამიანის პირადი ღირსება და ეს ძალა მომავალ საზოგადოებასაც საფუძვლად უნდა დაედოს.—და ეს საფუძველიც მტკიცე მაშინ გახდება, როცა ყოველი წევრი საზოგადოებისა, თითოეული მოქალაქე შეძლებისა და გვარად აღიჭურვება მეცნიერებას ამ ჯადოსნურის ძალით.

III

მაგრამ ვის ეძახიან განათლებულ ადამიანს? ამ კითხვაზე ბევრი სხვა და სხვა

პასუხი არსებობს, სამწუხაროდ არც ერთი ამ პასუხთაგანი საზოგადოთ მისაღები არ არის. ჩვენში განათლებულს ისეთს ადამიანსაც ეძახდნენ, ვისაც რუსული ლაპარაკი შეეძლო და თუ ამასთან სხვა უცხო ენებიც იცოდა და სხვანაირად იცვამდა, ის ხომ ზოგიერთების თვალში უუგანათლებულესი იყო. ან განათლებულებს ეძახიან ისეთს პირებს, რომელთაც ესა თუ ის პოლიტიკური რწმენა და მიმართულება აქვსთ; მაგრამ კულტურულ-სოციალოგიურის თვალსაზრისით ადამიანის განათლებას ჩვენში თითქმის არავინ უყურებს. მხოლოდ ბრძენმა სოციოლოგმა პ. ლ. ლავროვმა, ადამიანთა ცივილიზაციის ისტორიის კარგმა მცოდნემ, სწორედ შეხედა განათლების საკითხს და სამართლიანად განმარტა იგი. ლავროვის აზრით განათლების დამახასიათებელ თვისებას ფაქტებისა და ცოდნის რაოდენობა კი არ შეადგენს, არამედ ადამიანის პირადი შემოქმედებითი მუშაობა, როცა ცოდნით აღჭურვილი ადამიანი თავის სწავლას ცხოვრების გასაუმჯობესებელ იარაღად ხმარობს.

საზოგადოებრივს ცხოვრებას თავის ისტორიულს განვითარებაში ორი ელემენტი ახლავს: ერთი შეადგენს ისტორიულ განვითარების ფორმალურ მხარეს — წინაპართა გადმოცემულს ჩვეულებათა და შეჩვევათა ჯამს, საზოგადოებრივისა და სახელმწიფოს წესწყობილების ფორმებს, რომლებიც მემკვიდრეობით, განუსჯელად გადადის ერთი თაობიდან მეორეზე. ამას ჰქვიან **კულტურა**, განათლება. მეორე ელემენტი ადამიანის აზრია, ჯამი იმ ღირებულებათა, რასაც ჰქმნის ესა თუ ის თაობა წინაპართა კულტურის ნიადაგზე. ეს არის **ცივილიზაცია** ე. ი. მოქალაქეობა, მოქალაქობრივი სათნოება, ზნეობის მოლბობა, დამშვიდება.

კულტურა, ლავროვის აზრით, კაცობრიულს ცხოვრებაში ზოოლოგიური ელემენტია, მხოლოდ არსებული კულტურის ნიადაგზე აზრის კრიტიკულ მუშაობას შეუძლიან ცივილიზაცია შეჰქმნას და განათლებულ ინტელიგენტ ადამიანად, ლავროვის ტერმინოლოგიით „კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნებად“ ის ჩაითვლება, ვინც აზრის საშუალებით ძველს კულტურას შეამუშავებს და ახალს ცივილიზაციას შეჰქმნის, ვინც ახალ საზოგადოებრივი ფორმებისა და სამეცნიერო, საზნეობრივო და ესთეტიური ღირებულებათა შემოქმედებაში მონაწილეობას იღებს, ვინც ფიზიკურსა და გონებრივს, საზოგადოებრივსა და კერძო პიროვნების განთავისუფლებას ხელს უწყობს.

თითქმის ასეთსავე განმარტებას იძლევა განათლების შესახებ გერმანელი ცნობილი ბრძენი პაულსენი. ნამდვილ კეთილსინდისიერად განათლებულ ადამიანს პაულსენი უწოდებს ყველას, ვინც იმ ადგილიდან, რომელიც ბუნებასა და ბედს მისთვის დაუდგენია, გამოერკვევა გარესკნელ სინამდვილეში და შეჰქმნის საკუთარს ჰარმონიულსა და სულიერ სამყაროს, დიდი იქნება იგი, თუ პატარა, სულ ერთია. არა ცოდნის რაოდენობა, არც ის, რაც ადამიანს შეუსწავლია საზღვრავენ განათლებას, არამედ ის ძალა და თვითმყოფობა, რომლითაც ნასწავლი შეუთვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებია, რასაც ადამიანი სარგებლობს წინამდებარე მოვლენათა გასაგებად და დასაფასებლად. ამიტომაო, — განაგრძობს პაულსენი, — თამამად შემიძლია განათლებული ვუწოდო იმ გლეხს, რომლის განათლება სახალხო სკოლით დასრულებულა და შეიძლება მას გიოტესა და შილერის სახელი არცკი გაეგონოს, მაგრამ შესძლებს გულისხმიერათ გამოიყენოს ყველა საშუალებანი, რომელნიც გარემოებას მისთვის მიუნიჭებია, თუ კი იგი თავისთვის მთლიანს შეხედულობას შეჰქმნის ბუნებისა და ისტორიის სამყაროზე, სადაც სცხოვრობს და თუ თავის ფარგალში დამოუკიდებლად გამორკვევას შესძლებს. პირიქით, კაცსა და ქალს, რომლებიც ყველაფრის შესახებ მსჯელობენ, რაც ენაზედ მოადგებათ, არა საკუთარის, არამედ გაზეპირებულის ფრაზებითა და სხვისი სიტყვებით, პაულსენი დაურიდებლად გაუნათლებელს უწოდებს, თუ გინდ მათ ყველა სასწავლებლიდან და გამომცდელ კომისიებიდან შესაფერი მოწმობები წარმოადგინონ. მაშასადამე განათლების დამახასიათებელ თვისებად არ შეიძლება ჩაითვალოს არც ცოდნის რაოდენობა და არც დიპლომი, არამედ ნიჭი შემოქმედებისა, გარდაქმნისა და თითქმის პატარა ცოდნის ცხოვრებაში გამოყენებისა, განხორციელებისა.

მაგრამ ის მცირე განათლება, ნაწყვეტი ცნობები, რასაც წინაპართაგან ითვისებს შთამომავლობა, ვერ დააკმაყოფილებს ხალხის დემოკრატიულს ნაწილს. ცოდნა განვითარება ძალაა და ვინც უფრო ძლიერ და სრულად შეიარაღებულია ამ ძალით, ცხოვრებაში გამარჯვებულ-ჯვებულიც, რასაკვირველია, ბევრ-ბევრია. ამიტომ მეცნიერება ფართოდ უნდა ვრცელდებოდეს ხალხში და მიმართული იყვეს ხალხის ბედნიერებისა და სარგებლობისაკენ, ამას გვიკარნახებს დღევანდელი მომენტი, რომ ჩვენი დიდებულ წინაპართა შრომის ნაყოფი დავაგროვოთ, გავამდიდროთ და ღირსეულად გადავსცეთ შთამომავლობას. მაგრამ ჩვენთვის საჭიროა, რომ ცოდნის, განათლების ძალა მეორე უდიდეს ძალას შრომას შეუერთდეს და მაშინ მომავალი შრომისა და მეცნიერების სამკვიდრო იქნება, რასაც, უეჭველია, ჩვენი ქვეყნის ყოველმხრივი სრული აყვავება და დაწინაურება მოჰყვება.

IV

მაგრამ ჩვენ წინ ასეთი საკითხი იბადება: სად და როგორ უნდა შეიძინოს ხალხმა ცოდნის გრძნეული ძალა, სად არის წყარო მეცნიერების საკვირველ მოქმედებისა, მისი ძლიერებისა, როგორ უნდა გამოერკვას ხალხი მის გარშემო არსებულს სინამდვილეში, როგორ გაღონიერდეს ცხოვრებაში ბრძოლის დროს და რაგორ დაამშვენოს, აზრიანი გახადოს და გონივრულად გაატაროს ცხოვრების დღენი?

ყველა ეს საკითხი იმდენად რთულია, რომ მათი გადაწყვეტა, ვინც უნდა იყვეს, ერთს კაცს არ შეუძლია. ეს მთელი საზოგადოების, მთელი ერის საქმეა. ბევრი რამ გაუკეთებიათ წინაპართ და კაცობრიობას ისეთი, რასაც ჩვენ სრულიად თავისუფლად, უშრომლად, თანდათანობით ვითვისებთ, აუარებელი საუნჯეა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც კაცობრიობას, ძველს და აწინდელს თაობათა გენიოსებს დაუგროვებიათ, მაგრამ დღესაც კი ცხოვრებაში განუხორციელებელი რჩება. ყველა ეს საუნჯე ამ ჟამად წიგნებშია დაგროვებული. ამიტომ წიგნი თუ ერთად ერთი არა, უმთავრესი წყაროა ცოდნისა. მხოლოდ წიგნების საშუალებით გავიცნობთ წარსულ დროს, წიგნი აერთებს ჩვენს პირადს დაკვირვებასა და ცდას თანამემამულეთა განცდასთან და თვალწინ გვიშლის მომავალ ცხოვრების სურათებს.

ჰერცენის სიტყვით—წიგნი ანდერძია, გადაცემული ერთი თაობის მიერ მეორესადმი, მომაკვდავ მოხუცის რჩევა და რიგებაა ჭაბუკისადმი, რომელიც ცხოვრებას იწყებს... კაცობრიობის მთელი ცხოვრება თანდათანობით წიგნებში ილეკებოდა. თემები, ხალხნი, სახელმწიფონი ჰქრებოდნენ — წიგნები კი რჩებოდა. კაცობრიობასთან ერთად წიგნიც იზრდებოდა; წიგნებში ბროლის სახეს იღებდა გონების აღმძვრელი ყოველგვარი სწავლა და ვნებანი, წიგნებში ჩენერგილია მთელი კაცობრიობის აღელვებული ცხოვრების საოცარი ალსარება, ვეებერთელა აუტოგრაფია, რომელსაც მსოფლიო ისტორია ეწოდება". მაგრამ წიგნში მარტო წარსული ცხოვრების ამბები კი არა მოთხრობილი, წიგნი ისეთი საბუთია, რომლის საშუალებით აწმყოს მფლობელობაში შევდივართ; წიგნის საშუალებით ვითვისებთ ყველა ჭეშმარიტებასა და ძალას, რაც ტანჯვით, სისხლითა და ოფლით არის მოპოვებული; წიგნი მომავლის პროგრამაა".

კარლეილის აზრით წიგნი დიდი ყურადღების ღირსია, იგი ფრიად საკვირველი რამ არის. წიგნში სცოცხლობს წარსულ დროთა ნაფიქრ-ნააზრევი. მკაფიოდ და ნათლად გამოისმის ხმა იმ ადამიანებისა, რომელთა ნეშტი სიზმარივით გამქრალა... ყველაფერი, რაც კაცობრიობას გაუკეთებია, უფიქრია, რისადმი მიუღწევია, ეს ყველა წიგნშია დაცული. წიგნი ადამიანის ძვირფასი სამკვიდროა".

დიალ, წიგნების დიდ მნიშვნელობის შესახებ სხვა დიდებულ ადამიანების აუარებელი აზრებიც შეგვეძლო მოგვეტანა, მაგრამ საკითხი იმდენად ცხადი და მარტივია, რომ მის შესახებ არც ჩვენში შეიძლება სხვა და სხვა აზრი იყვეს. წიგნი შედეგია ქვეყნიერების კოლექტიურ, შრომაზე დამყარებულის მუშაობისა, იგი იმავე დროს ცივილიზაციის უდიდესი მამრავლია, მაგრამ ჩვენში საჭიროა შევიგნოთ, რომ წიგნი განათლების მძლეიარაღია, საშუალებაა ჭეშმარიტებისა და სიმართლისათვის ბრძოლაში და ვინც განათლებას ეწაფება, მისთვის წიგნი ცოდნის უმთავრესი წყაროა. ამიტომ დღევანდელს ჩვენს აუცილებელს მოვალეობას მშობლიური ქვეყნის წინაშე ქართული წიგნების, ქართული ყოველგვარ მეცნიერებისა და მწერლობის აყვავება გამდიდრება და ხალხში ფართო განათლების შეტანა შეადგენს, რითაც ხალხი თავს დაახწევს ბევრს მავნე ჩვეულებებს, გონებას განივითარებს, სულს გაიფაქიზებს, კულტურულ ჩვეულებებს შეჰქმნის და ცხოვრების პირობებსაც გაიუმჯობესებს. ამას მივაღწევთ მაშინ, როცა ხალხ-

ში წერა-კითხვას მოვფენთ, საკმაო და სასურველ წიგნებს მივაწვდით, წიგნს ხალხს შევაყვარებთ და წიგნების საშუალებითვე თვითგანვითარების გზაზე დავაყენებთ.

ბევრს სხვა და სხვა დარგში სახელ მოხვეჭილ დიდებულ ადამიანს, როგორც მათი ბიოგრაფიებიდანა სჩანს, ძალიან მცირე მომზადება მიუღია სკოლაში, მაგრამ ყმაწვილობიდანვე წიგნების საშუალებით, თავისთავად იმდენი ცოდნა შეუძენიათ, რომ ბოლოს დიდებულ ადამიანთა სიაში მოქცეულან. ინგლისელი შესანიშნავი ქიმიკოსი ფარადეი (1791—1857), უპრალო მჭედლის შვილი, ხელობით წიგნების მკაზმავი იყო, რადგანაც სხვა წყარო არ მოეპოვებოდა, რომ წიგნების კითხვის წყურვილი მოეკლა. შესანიშნავ გერმანელ ქიმიკოსს ლიბიხს (1803 73) გადაკითხული ჰქონდა სასახლის მთელი ბიბლიოთეკა. მეცხრამეტე საუკუნის შესანიშნავი ბუნების მეტყველი ჰელმგოლცი (1821—94) ბიბლიოთეკის გამგის თანაშემწე იყო, რომლის დროსაც წიგნების კითხვით შეიძინა საკვირველი ცოდნა. ფრანგების ქიმიკოსი ჟერარიც (1816 – 56) დროს სალიტერატურო მუშაობაში, წიგნების შესწავლაში ატარებდა. წიგნებმა მისცეს კაცობრიობას ისეთი შესანიშნავი თავისთავად ნასწავლი დიდებული ადამიანები, როგორნიც იყვნენ ვარსკვლავთმრიცხველი ჰერშელი, ოპტიკი ფრაუნგოფერი, დარვინი, სპენსერი, დ. ს. მილი, ა. სმიტი, მარქსი, მაიერი და მრავალი სხვა. მაიერს მოგზაურობის დროს თან დაჰქონდა მთელი ბიბლიოთეკა. აქ უნებლიეთ გვაგონდება საქართველოს დიდებული მეფე დავით აღმაშენებელი, რომელსაც ისე უყვარდა წიგნების კითხვა, რომ ლაშქრობისა და ნადირობის დროსაც კი თან დაჰქონდა ბიბლიოთეკა საკითხავად. განა მარტო დავით აღმაშენებელი იყო გატაცებული წიგნების კითხვით? საქართველოს ისტორია გვიჩვენებს მრავალ ღირსშესანიშნავ ქართველს, რომელსაც წიგნების კითხვით მაღალ განვითარებას მიუღწევიათ. მოვიგონოთ თუნდაც დავით გურამიშვილი, რომლის დროს ჩვენი ქვეყანა დიდს უბედურებას განიცდიდა გარეშემო მტრებისაგან — „ჩემ ყრმობაში სულ მტრები გვადგა, სწავლამ იკლო, ლეკების დავლამ წიგნები გაგვიქრა და ხუცებიც უწიგნოდ დარჩნენო და მე ვერა ვისწავლე-რა ანბანის მეტიო, ამბობს თვითონ გურამიშვილი, მაგრამ, როგორც მისი ნაწერებიდანა სჩანს, გურამიშვილი მაინც ცდილა და შეუსწავლია თავისთავად იმ დროის მწერლობა. გიორგი წერეთლის სიტყვით დავით გურამიშვილი სულის კვეთებით შეჰყურებდა თავის ქვეყნის უბედურებას, იმის დაჩაგვრას უწყალო მტრებისაგან და ბედნიერებას მხოლოდ სწავლა-განათლებით და ნაყოფის მომცემი შრომის დაწყებით მოელოდა. ეს აზრი, მეთვრამეტე საუკუნეში წარმოთქმული, განა იგივე სადღეისო აზრი არ არის? ან მოვიგონოთ მეცხრამეტე საუკუნის სახალხო პოეტი იოსებ დავითაშვილი, ხალხის სულის მესაიდუმლე, სოფლელი გლეხის შვილი, მუშა მეჩუქურთმე, რომელმაც გონება გაიხსნა მაშინდელ თითო-ოროლა ქართული წიგ-

ნისა და ჟურნალ-გაზეთის კითხვით. ან ჩვენი დროის ახალგაზრდა პოეტი იოსებ გრიშაშვილი, რომელსაც ქართული გიმნაზიის მოსამზადებელი კლასიც არ დაუმთავრებია და თავისთავად აღზრდილია მხოლოდ დღევანდელს ქართულს მწერლობაზე, უფრო მდიდარზე შედარებით, ვიდრე დავითაშვილის დროს იყო. გრიშაშვილის ლექსებსაც რომ არ მიაქციოთ ყურადღება და წაიკითხოთ მარტო მის მიერ გამოცემული „საჯათნოვა", გეგონებათ, რომ „საჯათნოვას" ავტორს უსათუოდ მეცნიერის დიპლომიც უნდა ჰქონდესო. საბედნიეროდ ჩვენში სხვაც ბევრი ნიჭიერი მოღვაწეა, რომელთაც სკოლაც არ უნახავთ, მაგრამ თვითგანვითარებისა და შრომის წყალობით ბუნებრივი ნიჭი მათში არ ჩამქრალა.

მართლაც თავისთავად რისმე შესწავლა წიგნებით საუკეთესო საშუალებაა ცოდნის შესაძენად და განზრახული გეგმის შესასრულებლად. წიგნების საშუალებით მკითხველი უზრუნველყოფილია მოწოდების თავისუფლად არჩევაში, რადგანაც, თითოეული ისეთს წიგნს ეძებს და კითხულობს, რაც მისი გულის საპასუხოა, რაც მის სულსა სწადიან. წიგნებში დიდბუნებოვანი ადამიანები გვესაუბრებიან, წინ გვიშლიან თავიანთ მცნებას და ყველას შეუძლიან ეს მცნება, სწავლა-მოძღვრება, ცოდნა შეისწავლოს და ცხოვრებაში გამოიყენოს.

თუ ჩვენს წარსულ დუხჭირ ცხოვრებაში, მწერლობის სიღარიბეშიაც გამოდიოდნენ თითო-ოროლა თავისთავად ნასწავლი მოღვაწენი, ესეც იმისი მაჩვენებელია, რომ სკოლას საერთოდ რამდენიმე სარგებლობა არ მოაქვს, რამდენიც აქტიურ მუშაობასა და მუდმივ თვითგანვითარების გზაზე დადგომას. მართლაც თვითგანვითარება ცოდნის შეძენის პროცესში უფრო შემოქმედი ელემენტია, ვიდრე პასიურად ამა თუ იმ ცოდნის მიღება. მაგრამ ხალხის თვითგანვითარება შემოქმედების სახეს მხოლოდ მაშინ მიიღებს, როცა ხალხს საკმაო წიგნები ექნება ასარჩევად და ეცოდინება კიდეც შესაფერი წიგნების არჩევა. განურჩევლად და უთავბოლოდ წიგნების კითხვა სარგებლობის ნაცვლად ზარალს მისცემს მკითხველს, თუ იგი თანდათანობით და სისტემატიურად არ მიჰყვება ცოდნის შეძენას, არ წაიკითხავს მავნე შინაარსის წიგნს და კარგს წიგნებსაც ისე არ შეხედავს, როგორც გასართობს რასმე, ბრმად არ მიიღებს ავტორის აზრებს, არამედ დაუკვირდება, დაუფიქრდება, გაარჩევს, სხვის აზრს თავის საკუთარს აზრსაც დაუმატებს და ცხოვრებაში ისე გაატარებს.

კარგი წიგნები შედარებით, რასაკვირველია, ბევრი არა მოგვეპოვება, მაგრამ რაც კარგი გვაქვს, კარგი მხოლოდ იმათთვის არის, ვინც არჩევა და წაკითხვა იცის. წერა-კითხვის ცოდნა და კარგი წიგნების არჩევა ერთი და იგივე არ არის. ამიტომ, თუმცა მთელი სიბრძნე და მეცნიერება წიგნებშია მოთავსებული, მაგრამ საჭიროა ისიც, რომ მკითხველი წიგნის სარგებლობის ხელოვნებასაც შეეჩვიოს. მოძებნა და არჩევა ამა თუ იმ მკითხველის შესაფერის საუკეთესო წიგნისა თვითგანვითარებისათვის ერთი მთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარი სამუშაოთაგანია. ეს ნიშნავს, რომ მკითხველი ცოდნის წყაროს დაეუფლოს და ეს უპირველესი დანიშნულებაა დღეს ყველა ჩვენებური საკულტურო დაწესებულებათა. სკოლა, კერძო საზოგადოება, კავშირი, ბიბლიოთეკები, ლექციები, საუბრები, კონცერტები, კურსები, თეატრი, ექსკურსიები და სხვანი უნდა აწვდიდენ ხალხს ცოდნასთან ერთად თავისუფლად წიგნების არჩევას და ხელოვნებას, სინათლისა და სიმშვენიერის მძლე წყაროს; ყველა საკულტურო დაწესებულებათა მოვალეობაა ხელი შეუწყონ ხალხის თვითგანვითარებას, ცნობიერებას, რომ ერი გულით, გონებითა და ზნეობით ამაღლდეს ისე, რასაც მისი ბუნება და ცხოვრება თხოულობს, მათი ვალია აღანთონ შემეცნების ლამპარი და აღუძრან უკეთესი ცხოვრებისაკენ მისწრაფება იმათ, ვინც დღემდის, ცხოვრების უკულმართ პირობების გამო, უმეცრების წყვდიადში იყო გახვეული.

მაშასადამე, ქართველმა ერმა რომ გაჰფანტოს უმეცრების ბურუსი, რომელშიაც გახვეული იყო მთელი საუკუნის განმავლობაში, აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, რომ ყველგან შეძლებისა დაგვარად დაარსებულ იქმნეს სახალხო სკოლები, მოეწყოს სკოლის გარედ დამატებითი კურსები მოზრდილთათვის, დაბა-სოფლებშიაც გაიმართოს სახალხო აუდიტორიები, დაარსდეს ყველგან ბიბლიოთეკა-სამკითხველოები. მოეფინოს ხალხში ბლომად შესაფერი წიგნები, რომ ამ საშუალებითაც ხალხში გავრცელდეს ყოველგვარი დარგი მეცნიერებისა. ეს არის დღეს საერთო მოვალეობა საშობლოს წინაშე, როგორც კერძო პირებისა, ისე მთელი საზოგადოებისა, ერობათა და დემოკრატიული სახელმწიფოსი.

ლ. ბოცვაძე.

კლასის ამღზრდელთა ინსტიტუტი საშუალო სკოლაში

(განათლების სამინისტროს უკანასკნელი ცირკულიარის გამო)

მოზარდი თაობა, როგორც ვიცით, ყველგან და ყოველთვის, ოჯახის, საზოგადოების, თვით სახელმწიფოს მომავალ იმედათ და ბურჯად იყო და არის მიჩნეულ-ადიარებული. ამ თაობის მომავალ მოქმედებაზე და ცოდნა-შეგნებაზე იქნება, უმოავრესად, დამოკიდებული ელფერი, მომართულება, სახე, წეს-წყობილება ოჯახისა, საზოგადოებისა და ერისა. მაშასადამე, დიდი მნიშვნელობა აქვს ერისა და სახელმწიფოსათვის იმას, თუ რა შთაბეჭდილებათა და იდეათა ზედგავლენით ზრდება და იფურჩქნება მოზარდი თაობის გრძნობა-გონება, თუ სიფაკენ იქნება გადახრილი მისი სიმპატია, თუ რა ფიქრები და მოგონებანი, რა სოციალურ-პოლიტიკური და ფინანსიურ-ეკონომიური ნორმები და პრინციპები გადაიქცევა მისთვის სასურველ-სანუკვარად, ან გასაკიცხ-დასაგმობად. ამისდა მიხედვით, ყველა სახელ-

მწიფო, ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ყველა მიმართულების და იდეალის წარმომადგენელი და ჯგუფიც ცდილობს, რომ სკოლა და მოზარდი თაობა იყოლიოს თავის გავლენის ქვეშ; სკოლას დაეკისროს განსაზღვრული იდეათა და მისწრაფებათა ქადაგება და განხორციელება, რათა მოზარდი თაობა გაიყოლიონოს ერთგვარი სასურველი შეხედულობით და რწმენით. ყოველ ერსა და სახელმწიფოში გაჩაღებულია, ხან ჩუმად, მალულად, უჩინრად, ხან კი აშკარად, საქვეყნოო მკაცრი და დაუნდობელი ბრძოლა სკოლისა და მოზარდ თაობის ბედის დაჩემებისა, დაპატრონებისა და დაპყრობის ნიადაგზე.

რუსეთშიაც, რომელთანაც ჩვენ უკულმართმა ბედის ტრიალმა ას ჩვიდმეტი წლით ყოველ მხრივ გადაგვბა-გაგვერთიანა, ამ ნიადაგზე საუკუნეთა განმავლობაში სწარმოებდა სასტიკი და შეუწყვეტელი ბრძოლა. მხოლოდ ეს ბრძოლა აქ იყო უთანასწორო, ბრძოლის ყოველივე იურიდიულ-ეთიკურ ნორმებს მოკლებული. ერთის მხრივ იბრძოდა, — არა, არ იბრძოდა, — დიქტატორობდა ძალვა-მოსილობით მოზეიმე მოდადესასწაულე, თვითმპყრობელობასა, მართმადიდებლობასა და ხალხისობაზე — ამ სამ ზღაპრულ გველეშაპზე დაურდნობილ-დაეუძნებული აბსოლიუტური სახელმწიფო, — მეორეს მხრივ, — იდეიურად ძლიერი და სიმპატიური, მაგრამ უიარაღო-უსახსროდ მყოფი, სასტიკ ცენზურის ძალოვნობით სულშეხუთული და ენა აბმული რუსეთის ინტელიგენტია. იმ დროს, როდესაც პირველი მებრძოლი — სახელმწიფო, თავიდგან თვეხამდე იარაღში იყო ჩამჯდარი, ურიცხვ საშვალებებით და უპასუხისმგებლო ლაღი მოქმედებით სარგებლობდა, — მეორე — იძულებული იყო იგავ არაკით, მიკიბ-მოკიბვით, ალეგორიულად და საბოლოოდ კამოეთქვა თავისი სურვილ-მისწრაფება, იდეალი, თვისი კეკეცოვა და პროტესტი საზოგადოდ ადამიანის, კერძოდ რუსეთის მოშავალ თაობის გონებრივი და ზნეობრივი დამახინჯების წინააღმდეგ. იგი იძულებული იყო, ნაცვლად პირდაპირი და დაუზოგველი კრიტიკისა, მხატვრულ სურათებში, ტოტხალ ტიპებში დაესატა სამარცხვინო შედეგები სახელმწიფოს მოქმედებისა სწავლა-აღზრდის საქმეში. არისტოკრატი . პუშკინი, კლასიკოსი გრიბოედოვი, „ხელი“ ბესარიონ ბელინსკი, ოფიცერი „ბურსაკები“ — ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, ნიღილისტი პისარევი, ჭუმანისტი ექიმ-პედაგოგი პირგოგოვი და მთელი გუნდი „დიდთა და მწერალთა“ რუსეთის პუბლიცისტ-ლიტერატორთა სხვა და სხვა ხერხით, ინტერსიობითა და შეგნებით ებრძოდნენ ყველა საფეხურის ტიპების სკოლებში გამეფებულ პოლიტიკურ ყანდარმულ აღზრდის სისტემას. ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის ისეთმა შეუწყვეტელმა და გაუნელებელმა ბრძოლამ შეარყია ბჭენი ბიუროკრატიულ-ყანდარმულ ოფიციალურ სკოლისა და მისს კედლებს, სასტიკის ინსტრუქციებით, საიდუმლო ბრძანებებით და მთელის რეაქციონურ-კონსერვატორულს კანონმდებლობით შემოვლებულ-გამაგრებულს, ადგილ-ადგილ გვერდები შეუნგრია. ამის წყალობით, ასეთს საბედისწერო კედლებში მომწყვდეულ, სულიერ-ხორციელად მომშუხამგელ ჭაერში გამომხრჩვალ ახალთაობას ტოტალოდენ თავისუფლად ამოსუნთქვის, მიხედმოხედვის, ჩაკვირვება-ჩაფიქრების, თვით-განვითარების დონე და საშსარი მიეცა. ნდობით აღჭურვილი, უფლება მოსილი და დასელოვნებული სკოლის ადმინისტრაციის ხელში მომწყვდეულ ახალგაზდობას ყოველთვის მხსნე-

ლად, გზის მაჩვენებლად, უზინარ დამრიგებლად, გამეფებულ წეს-წყობილობას მტრად ევლინებოდა ჯერ კიდევ გაურეფნელი ახალგაზრდა მასწავლებელთა მოელი რიგი, რომელნიც, როგორც მოწინავე იდეურ ლიტერატურა ყურნალისტიკაზე აღზრდილნი, უმრავლეს შემთხვევაში ადამიანობისა, ჰუმანიზმისა ‌ და თავისუფლების მოამხრე-მქადაგებელნი იყვნენ. რასაკვირველია, საჯაროდ, ოფიციალურად და თავისუფლად მათ ასეთი მოღვაწეობის საშუალება მოსპობილი ჰქონდათ. მათთან, როგორც მთელს შეგირდობას, გარს ეხვეოდნენ ათასნი შეგნებულნი და მოსეიდულნი მეთვალყურენი, რომელნიც მასწავლებლის გულახდილად ნათქვამ სიტყვის შესახებაც, სადაც ჯერ იყო, მოხსენებას წარადგენენ. ბევრს, უმთავრესად ახალგაზდა მასწავლებელს, ნაყოფიერ და კეთილშობილურ მოქმედების მსურველს და ტანჯულ ახალგაზდობის მოსარჩლეს გამწარებია თვისი სიყმაწვილის დღენი და სამუდამოთ მოსპობია საშუალება ადამიანური ცხოვრებისა. მთელი მეცხრამეტე საუკუნის რუსეთის სკოლის ისტორია შეუწყვეტელი მარტიროლოგია ამ უზინარუსახელო, მაგრამ იდეიურად ძლიერი მოქმედებით უანგარო ახალგაზდა მასწავლებელთა.

მასწავლებლობის დიდი უმრავლესობა კი, რომლებიც ბუნებისა და ცხოვრების პირობებს სუსტი და რბილი ხასიათისა შეუქმნია, გამეფებულ მკაცრ რეჟიმთან ხანმოკლე შებრძოლების და დროებითი სულიერ ტრაღედიის შემდეგ, ძალუნებურად ემორჩილებოდნენ სინამდვილეს, პროტესტს, კრიტიკას აღარ თავს ანებებდნენ და მხოლოდ თავის პირადპირ პროფესიონალურ მოვალეობის აღსრულებას აღევლნენ ძალ-ღონეს. ეს ელემენტი არ იყო მებრძოლი, მაგრამ ის მაინც ჩუმის თანაგრძნობით ეკიდებოდა იმ თავის ამხანაგებს, რომლებიც გამბედაობას იჩენდნენ და გამეფებულ სწავლა-აღზრდის სისტემას და მის განმახორციელებელ პირთ — ადმინისტრაციას აშკარა წინააღმდეგობას უწევდნენ. ამ კატეგორიის მასწავლებლებს უყვარდათ და ებრალებოდათ ის განაწამები შეგირდობაც, რომლის სულზე და ხორცზე ასე დაუნანებლად აკეთებდნენ სხვა და სხვა ექსპერიმენტებს თვითმპყრობელობის და რეაქციის უურმოწრილი, უსულგულო მონა-მსახურნი — ადმინისტრაციის წევრნი. მასწავლებელთა რიცხვში ისეთნიც იყვნენ, რომლებიც ერთგულად და თავგამოდებით მხარს უჭერდნენ არსებულ სისტემას, დიდის სიამოვნებით სათავეშიც ახრჩობდნენ თავისუფლების გამომჟღავნებას, მათის ტერმინალოგიით კი, „ურჩობას“ შეგირდობაში. ამ უკანასკნელებისთვის ეოველი სიტყვა და საქმე უფროსისა კანონი და მისაბაძი იყო. თავის მონა-მორჩილებით ეს ვაკანტონები გზას იკეთავდნენ საადმინისტრაციო ადგილებისკენ — ინსპექტორ დირექტორებისაკენ. და, მართლაც, ხშირად გუმინდელი მოდჩალნები, რომლებსაც ეშინოდათ თავის საკუთარი მსჯელობა ჰქონოდათ, მალე თამუსოვებათ ევლინებოდნენ მრავალ ტანჯულ სკოლას.

ასეთ კარიერისტ უფროსებს, მორიგ მასწავლებელთა წრიდგან ახლო წარსულში გამოსულთ, რასაკვირველია, ეჯავრებოდათ, როგორც თავიანთი ზნეობრივი ანტიპოდები, ის მასწავლებლები, რომლებიც, გრიბოედოვის სიტყვით რომ ვსთქვათ, „მტერნი იყვნენ მაძიებლობისა“, არ ეძებდნენ თბილ ადგილებს და სამსახურში ამაღლებას და მხოლოდ მეცნიერების შეთვისებაში იკალავდნენ ცოდნის წყურვილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარიერისტ ადმინინტრატორები ოდესვ ლოხეს ხმარობდნენ თავის სამეფლობელოში — სასწავლებლებში, თუ სულ არ მოსპობდნენ, შეემტერებინათ მაინც რაცხვი ასეთი „საშიშ მეოცნებე“ ბედაგოგებისა.

მაგრამ ძველ დროშიაც შეუძლებელი შეიქმნა ცოცხალი სულის ჩაკვლა-ჩაქრობა მასწავლებლებში, გაწირდა სულიერ „ფუტლიარში“ მისი მომწყვდევა. ასე წარმოიდგინეთ, ნიკოლოზ პირველის შავ-ბნელ მეფობის დროსაც, ჩვენ ვხედავთ უშიშარ და მოუსეიდავ ბედაგოგებს, რომლებიც დაუფარავად და მოურიდებლად ებრძვიან გამეფებულ სისტემას და ხმამაღლა მოუწოდებდნენ. „ძლიერთა ამ სოფელისათა“ სამართლობა და ადამიანობისაკენ. როდესაც, 1858 წ., კიევის ოდქის მზრუნველმა შემოიღო სკოლის ცხოვრებაში გასატარებლად ახალი კანონი მოწაფეთა დანაშაულის დასჯის შესახებ („Правила о поступкахъ и наказаніяхъ учениковъ гимназіи“), რომელიც შეგირდების გაწკეპლას და გამოგდებას აკანონებდა, ამ სისასტიკის შესახებ მხოლოდ მორიგ მასწავლებლებმა აღიმაღლეს ხმა. მათ ბედაგოგიურ საბჭოებში გაანცხადეს სამართლიანი პროტესტი, თითქმის ყველა გიმნაზიებში გამოჩნდნენ ასეთნი უშიშარნი და ჭეშმარიტი ბედაგოგები. იგინი ერთხმად ამბობდნენ, რომ შემოღებული წესი გამასწორებელი კი არ არის, იგი სასჯელია, იგი სამაგიეროს გადახდაა; იგი შეგირდის კი არა, მათი მშობლების დასჯაა; რომ გაწკეპლა ადამიანის დირსების შეურაცყოფაა, ამისათვის გაწკეპლა გარდეგნილ უნდა იყოს სკოლიდგან; გაწკეპლის ნაცვლად შემოღებული უნდა იქნეს სისტემა შთაგონება-დარიგებისა, პატივებისა, როგორც სწერდა, მაგ. ჩერნიგოვის გიმნაზიის მასწავლებელი, სტრახოვსკი, „semel cum cratъ septimerica“.

ნუ დაგვიწყდება, რომ ასეთი თამამი და უშიშარი ხმა უჩინარი მასწავლებლებისა გაისმოდა იმ დროში, როდესაც რუსეთის ცხოვრების ყოველ სფეროში ჯერ კიდევ მძვინვარებდა საშინელი სული ნიკოლოზ პირველის რეაქციისა და როდესაც საზოგადოებრივ აზრს მაჯლაჯუნასავით თავს აწვა და ახრჩობდა მაშინდელი არაკეთილის სულით გაჟღენთილი ცენზურა!

თუ მასწავლებლები არ უშინდებოდნენ თავიანთ თავისუფალ აზრების საჯაროდ ბრესაში და ოფიციალურ მოხსენებებში გამოტანას, რასაკვირველია, იგინი უფრო თამამად ადიარებდნენ თავიანთ აზრ-შეხედულებას სკოლაში. მათ მაშინ, იმ შავბნელ დროში და რეჟიმში, ხშირად ეძლეოდათ შემთხვევა გამოსარჩლებოდნენ მრავალ-ტანჯულ შეგირდებს, შებრძოლებოდნენ, ხან ჩუმად, ხან კი აშკარად, გაბატონებულ და ყოველად ძლიერ ადმინისტრაციას. ესეთი ფაქტები არ იშალებოდა. შეგირდობაში, ხანდ-ხან გაზვიადებულადაც, ვრცელდებოდა ხმა მასწავლებლების ასეთის ქომაგობისა და უფროსებთან შეტაკების შესახებ. ბუნებრივად, მათში მტკიცდებოდა ის აზრი, რომ მოწაფეთა მფარველი სასწავლებელში მხოლოდ მასწავლებლები არიან, რომ მხოლოდ ისინი ებრძვიან მათ მტანჯველ ადმისტრაციას. ამნაირად იზრდებოდა და მტკიცდებოდა მათში მასწავლებელთადმი სიმპატია და სიყვარული. განსაკუთრებით შეგირდები იმ მასწავლებლებს სტემდნენ დიდ პატივს, რომლებიც გაკვეთილებზე და გაკვეთილის გარეშეც აყვარებდნენ მათ მეცნიერებას, მშობლიურ ლიტერატურას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჩევა-დარიგებას აძლევდნენ სხვა და სხვა გასაჭირის დროს; უფრო ამხანაგობას და მეგობას უწევდნენ კრიტიკულ მომენტებში. ვინ მოსთვლის იმ აჯანუებებს, „ბუნტარულ“ ექტესებს, რომელთაც ადგილი ჰქონია უველა ტიპის სკოლებში მე-XIX და მე-XX საუკუნეებში!

ეს აჯანუებები, როგორც ვიცით, ხშირად მკაცრი შურის ძიებითა და სისხლის ღვრითაც თავდებოდა. ეოველთვის და ეოველგან ასეთი აჯანუება და შურის ძიება მიმართული იეო განსაკუთრებით ადმინისტრატორებისა და მათი ნების ამსრულებელ თითოეოროლა მასწავლებლების წინააღმდეგ, რომლებიც მათ ნორჩს სულსა და გონებას ჯალათებათ ევლინებოდნენ; რომლებიც მათ მონურ ინსტიკტებს, ფარი სეულ თვალთმაქცობასა და სარწმუნოებრივ ფანატიზმს უნერგავდნენ. ასეთი მდგომარეობა — აჯანუებები გიმნაზიებში, სემინარიებში და უნივერსიტეტებში ოან და თან ხშირდებოდა და ს

ბარბაროსული ბრძოლა უნივერსიტეტების წინააღმდეგ; გვახსოვს კასსო და მისი ტინიკური პოლიტიკურ-ყანდარმული მოქმედება-მოდგაწეობა: იგი უმაკალითო ბროფეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებელთა ამღზრდელებათ მოწვევისა ჩამოთვლილ ფუნქციებში განხორციელებულიო. სამწუხაროდ, მთავრობის მხრივ ეს ნაწილი ინსტრუქციისა მხოლოდ ფამაზი ხელის აქნევა გახდა, ტბიერი ხერხი იო გულუბრუვილო მმობელთა და მოქალაქეთა თვალის ასახვევად და თავის ვერაგულ პოლიტიკის დასამალავად ხმარებული.

ამ ინსტრუქციაში სხვათა შორის ნათქვამი იო, რომ მოწაფეთა საფუძვლიანად გასაცნობად საჭირო მათთან მუდმივი ეოფნა გაკვეთილისდროს, მასწავლებელი ვალდებულია გასწიოს მორიგეობა, სკოლაში მოვიდეს სწავლის დაწყებამდის, წავიდეს მხოლოდ გათავების შემდეგ; იზრუნოს, რომ საკლასო ოთახში მზად იოს სასწავლო ნივთები და სხვა და სხვა.

ინსტრუქცია აგრეთვე ავალებდა ამღზრდელ მასწავლებელს ცოდნოდა, ვინ აკლდებოდა გაკვეთილებს და რა მიზეზით. ამ მიზნით მას მოწაფეთა ბინები დროგამოშვებით უნდა დაეთვალიერებინა. კარდა ამისა ამღზრდელს ევალებოდა ეოველივე სტატისტიკური ცნობების შეკრება თავის კლასის შესახებ და იმ კანცელიარული შრომის გაწევაც, რაც წინეთ სასწავლებლის კანცელარიის მოვალეობას შეადგენდა. კიდევ ბევრი რამ ევალებოდა ამღზრდელს, მაგრამ ეოველივე ამის დაწვრილებით ჩამოთვლა საჭირო არ არის.

მთავრობამ მშვენიერად იცოდა, რომ ჩამოთვლილ მოვალეობის არამც თუ სრულად, ნაწილობრივადაც შესრულებას ვერც ერთი ბედაგოგი ფიზიკურად ვერ შესძლებდა,—მით უმეტეს, რომ მისი პირდაპირი და უმთავრესი მოვალეობა—გაკვეთილები, თხუზულებები, გაკვეთილებისთვის მომზადება, მეცნიერებისა და ლიტერატურისადმი თვალეურის დევნება—თავის თავადაც დიდათ მძიმე და პასუხსაგები ეკეთა. მაგრამ პოლიტიკოს სკოლის მეთაურებს: მასწავლებლებითაც არ აინტერესებდათ მართლაც საჭირო და ფრიად სასარგებლო ნაწილი ინსტრუქციისა,—ეს ნაწილი, როგორც ვსთქვით, მხოლოდ სადეკორაციოთ, სათვალთმაქცოთ, საზოგადოებისა და ოჯახის გულის მოსაგებად და მოსატეუებლად იო შეტანილი. და რომ სწორედ ეს ასე იო, ეს ცხადად დასამტკიცა სკოლის ცხოვრებამ და პრაქტიკამ. პირველ ხანებში, როგორც მოსალოდნელი იო, სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქმნა სწორედ ინსტრუქციის იმ ნაწილზე, სადაც მასწავლებლებს პოლიტიურ—ვახმისტრული ფუნქციები ევალებოდათ: ცხადი შეიქმნა, რომ მათ უნდა დაემეარებინათ სკოლაში გარეგნული წეს-რიგი, მოწაფეთათვის გაეწიათ ეოველხრივი კანტროლი, ჩაენერგათ მათთვის მონური შეხედულობა და გრძნობა; ერთი სიტეეით, მომავალი რეაქციონერ მოქალაქეების შოსამზადებლად, დირექტორ-ინსპექტორებს დამხმარედ ექცეოდათ მთელი შტატი პირდაპირი თანაშემწეებისა, უკეთ რომ ვსთქვათ, „ტალახის ზედა მხედველებისა“, წინეთ მასწავლებლები მხოლოდ სწავლის საქმეში იეკვნენ პასუხის მგებელნი მთავრობის წინაშე; ინსტრუქციის გამოცემის შემდეგ კი ისინი ეოველმხრივ და ეველაფერში შეიქმნენ დამოკიდებულნი და პასუხის მგებელნი. სკოლის მთავრობამ მარჯვეო ისარგებლა ასეთის მდგომარეობით: ჯერ ერთი, მან თითქმის გაინთავისუფლა თავი იმ, მართლაც, ნერვულ-ჯოჯოხეთურ და ანტიპატიურ მოვალეობისაგან, რომელიც მას ჭმონდა დაკისრებული; მეორე,—ხელში ჩაიგდო, ლაგამი ამოსდო, მონა მორჩილად გაიხადა ოდესღაც თამამი, დამოუკიდებელი, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლიანობის ქომაგ-დამცველი და მოზარდ თაობის სულის მესაიდუმლე, მისი გონების განმანათლებელი, დამსახურებული და ავტორიტეტიანი მასწავლებელი. ახლა ადმინისტრაციას უოველთვის შეეძლო შენიშვნა მიეცა, ესუველურნა, დაეტუქსა კიდეც ისეთი მასწავლებლებიც, რომლების სამართლიანს და მოურიდებელს სიტყვა-მხილებას არა ერთხელ გაუწითლებია, არა ერთხელ ხმა ჩაუწყვეტინებია მის თვის პედაგოგიურ საბჭოების სხდომებზე. გაჩადა ყველგან დამცირება, შეურცხოფა, აბუჩად აგდება და მოურიდებლად მოქცევა მასწავლებლებისადმი. „ეს გაკეთეთ, ასე უნდა მოიქცეთ, თავის დროზე მომახსენეთ, პასუხს აგებთ“, — აი რა კილოთი ბრძანებლობდა გათამამებული სკოლის ბიუროკრატი.

„ეს და ეს კლასი დღეს ცუდად იქცეოდა, ამ და ამ კლასიდგან დღეს რამდენიმე შეგირდი გაკვეთილებიდგან გაიპარა, ამ და ამ კლასში დღეს ცარცი არ იყო, ამ და ამ კლასის მოწაფეებმა თავის დროზე სწავლის ფული არ შემოიტანეს, ამ და ამ შეგირდმა თავი არ და მიკრა, ეს და ეს შეგირდი გუშინ თამბაქოს ეწეოდა, ნება დაურთველ წიგნს კითხულობდა, ამ და ამ კრებას დასწრებია, ეკლესიაში ცუდად იდგა, პირჯვარს არ იწერდა“, — აი როგორის ნიშნის მოგებიო და გაბრაზებული კი ლოთი იძლეოდა შენიშვნებს მოზეიმე უფროსი! წინეთ კი ამგვარს და ამაზე ასჯერ უარეს ფაქტებს იგივე პირი ათუჩეჩებდა, მადავდა, ოფიციალურ მსვლელობას არ აძლევდა. ასე წარმოიდგინეთ, ისეთ მომენტებშიაც კი, როდესაც მოწაფეები ბობოქრობდნენ, მათი მრისხანების ტალღები სკოლის კედლებს ანძრევდა და პროტესტ-უკმაყოფილება უმაღლეს წერტილს აღწევდა, ასეთ მომენტებშიაც კი წინეთ სკოლის ადმინისტრაციის სდუმდა.

დღეს კი იგივე პირები, — ვინაიდგან ადმზრდელთა ინსტრუქციამ ისინი თითქმის მთლად პასუხის მგებლობისაგან გაანთავისუფლა, — იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც, მართლაც, სასწავლებლებში შედარებით მშვიდობიანობა და სიწყნარე იყო, ფარისეული გულნატკენობით და შეწუხებით მდგომარეობას აზვიადებდნენ და უმნიშვნელო ფაქტებს უდიდეს მნიშვნელობას აძლევდნენ. რა ენაღვლებოდათ! თითქმის სრული პასუხის მგებელნი ახლა სხვანი იყვნენ! ამ გვარად გაამართა მთელს რუსეთში დიდი ადმინისტრატორებისა: ყველა მათგანი ცდილობდა, დისციპლინის მხრივ, სამაგალითოდ დაეყენებინა რწმუნებული სასწავლებელი, ცდილობდა ისე გაეწროვნა და მოერჯულებინა შეგირდ მასწავლებლობა. რომ მათში საბოლოოთ გამქრალიყო ყოველივე სურვილ-ხალისი თავისუფლად ფიქრისა და მოქმედებისა.

უფროსები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, — აი მე პირველმა შევძელი სკოლის — ეზარმად, მასწავლებლების — ვახმისტრებად და შეგირდების — ტიკინებად გადაქცევა. წარმატება წარჩინებასაც ახლა მხოლოდ ის იდებდა, ვინც მეტს პოლიტიკურ ვახმისტრულ ნიჭს და უნარს იჩენდა; ვინც მკაცრი და შეუბრალებელი იყო; ვისაც თავისუფლება სძულდა და მონობას ეტრფიალებოდა.

როგორც ვიცით, ამ ახალმა პედაგოგიურ-პოლიტიკურმა ექსპერიმენტებმა რამოდენიმე წლის განმავლობაში შესამჩნევი ნაყოფი გამოიღო. კაზომ და მისმა დამქაშებმა, მრთლაც, დაამშვიდეს, განკურნეს უნივერსიტეტები, უკეთ რომ ვსთქვათ, დაცარიელეს იგი. სტუ-

დენტობა გაიგზავნ-გამოიგზავნა, გადაჯგუფდ გადმოჯგუფდა, გამოირიცხა; ზოგმა შეგნებულად დასნება თავი უნივერსიტეტს—ამ ახალ ფორმაციის სავოლიციო უბანს; პროფესორებიც გაიფანტ-გამოიფანტნენ: ზოგი დარჩა უადგილოდ, ზოგმა საზღვარ გარეთს მიაშურა, ზოგიც მიეუჩდა.

ასეთივე ბედი ეწია ზოგიერთ გიმნაზიებსაც. მაგ., ერთს კერძო გიმნაზიას (სახელი არ გვახსოვს) პეტერბურგში უსასტიკესად მოეპურნენ: ბავშვები დაუპატიმრეს და ზოგიერთი მათგანი გადასახლეს კიდეც.

ასეთ უმაგალითო სისასტიკის დროს, თავის თავად ცხადია, მასწავლებელთა კორპორაცია, რომელიც ერთ-ერთი ორგანო პოლიციურ-ყანდარმულ სისტემის განსახორციელებლად და მის დარაჯად ოფიციალურად მოწვეული, ჭკარგავს თავის წინანდელ ავტორიტეტს შეგირდებში. იგი, შესამჩნევად წვრილმანდება; ნეგრებ-აშლილი, წინანდებურად მომზადებულად და ენერგიულად ვერ აწარმოებს საგნის სწავლებას; დადამოდუნება და უხალისობა ეტუობა. ზოგი მათგანი შეურიგდა კიდეც მდგომარეობას და მაჩანჩალა, ჯაგლაგა ცხენად გადაიქცა: დიდიდგან სკოლის კარიდორები, სამსწავლო ოთახი; ნასადილევს ქალაქის სხვა და სხვა მიერუებული და განაპირა ქუჩები, რესტორან-საბილიარდობის მტვრიანი ბინები — აი რა შეიქმნა ახლა მათთვის ობიექტად შესწავლისა და უურადღებისა.

ზოგიერთ უფროსის ერთგულობამ იქამდის მიადწია, რომ ქალაქს რაიონებად ჭეოფდნენ და იქ ხუთ საათიდგან ცხრა, ან ათ საათამდი მოწაფეთა საზვერავად მასწავლებლებს აგზავნიდნენ.

ასეთს უსულგულო, ნერვიულ-პოლიციურ და შეუწეველელ მეშობას ახალგაზდა მასწავლებლებიც დიდის გაკვირვებით უყურებდნენ. ფიზიკურად, მაგრამ ისინიც იძულებულნ ყოფნენ მოუმზადებლად მიეცათ მეორე დღეს გაკვეთილები, ზერელეთ გადაეკითხათ და გადაეფურცლათ წერითი სამუშაო და სხვა. რაც შეეხება წიგნების და ყურნალ-გაზეთების კითხვას, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებას, ან წუნარ ოჯახურ დროს გატარებას,—ამას ხომ საბოლოოდ იეკნენ მოკლებულნი!

თუ ასეთი მძიმე და აუტანელი იყო მდგომარეობა შედარებით ახალგაზდა და ჯანდრეთით სავსე მასწავლებლებისა, თქვენ წარმოიდგინეთ ამა რას უნდა დამსგავსებოდა ასეთს ეოფაში ხანში შესული, ნამოდვაწარი, ბალარა შერთული, ბევრი ახალ მოდგმის ამღზრდელგათვითმცნობიერებელი და დამსახურებული მასწავლებელი?!.

სუეველაფერს თავი დანებეთ, ნუ გაგვაკვირებს ისიც, რომ მხცოვანი, დარბაისელი, მხოლოდ მეცნიერების შეთვისებასა და გადაცემას ჩვეული პედაგოგი ხუთ-ექვს გაკვეთილის განმავლობაში კარიდორების მიკრულია, თავის კლასის კარებთანაა ატუზული.

არა, თქვენ მხოლოდ წარმოიდგინეთ ასეთი სურათი: ეს მხცოვანი პედაგოგი მოკუნტულ-მობუზული, ფეხების ათრევით, თავ-ჩაქნდრეული, ვინაიდგან გაკვეთილების მიტემით, უმეტესად კი ანტიპატიურ კარიდორის ზედამხედველობით მოქანცულ-მოდალული, საათის ექვსიდან ცხრამდი, ხშირად ათამდისაც, იძულებულია ძალდატანებითი მატიონი აკეთოს ქუჩებში და შეგირდები დაზვეროს. ან და წარმოიდგინეთ იგივე მასწავლებელი პანსიონში ეწოლარე საერთო ოთახში. ბავშვებთან იმავე მიზნით?!! რაგორ ჭგონიათ, ამაზე უფრო

მეტი აბუჩად აგდება, დაცინვა, პროფანაცია უპატიოსნეს და უწმინდეს მოვალეობის, როგორც მასწავლებლისაა, შესაძლებელია?! აი რა არგუნეს ჯილდოდ და წასახალისებლად სიბერის ჟამს კეთილშობილ ინტელიგენტ მუშაკს?!

მერე ვინ უნდა უბრალნებდეს მას? ვის უნდა ექვეშდებარებოდეს იგი?

ვინ უნდა გაგზავნ-გამოგზავნოს იგი? ვისი შენიშვნა-დატუქსვა უნდა გადიტანოს მან? ხშირად გამოუცდელ, უმეტეს შემთხვევაში გონება ჩლუნგი საზოგადოდ ძალა-მათრახის მადარებელ და ამ სისტემის უურმოწრიდ გუშინდელმა მისმა უოფილმა კარიერისტ მოწაფემ?!

ჩვენ არ ვაზვიადებთ. ასე იუო, ტოტალოდენ გამონაკლისით, უველგან რუსეთში, კერძოთ ჩვენშიაც; ჩვენში ზოგან უფრო სასტიკათაც, რადგანაც ზოგად პოლიტიკურ ზოშებს აქ თან ერთოდა ადგილობრივი გარუსების ექსპერიმენტებიც.

მასწავლებელთა მდგომარეობა, მართალია, აუტანელი შეიქმნა. ამის მაჩვენებელი იუო მასსიური პროტესტები და თამამი კრიტიკა შემოდებულის სისტემისა საჯაროდ და დეტალურად ეურნალ-გაზეთებში. ჩვენ გვახსოვს რამოდენიმე ასეთი, ტრემლით და ნაღვლით შეზავებული წერილები, მაგ. „Вѣстникъ воспит.", სადაც გადაშლილი იუო სულიერი ტრაგედია დამცირებულ, ხელფეხ შეკრულ და ბევრს შემთხვევაში გამასხარავებულ მასწავლებლობისა. უკანასკნელნი დასტიროდნენ შებღალულ-შეურაცეოფილ თვის პიროვნებას, თვის გონებრივ ჩამოქვეითებას და მეცნიერებისადმი ინტერესის შესუსტებას.

და ვინ იცის, რითი გათავდებოდა, რა სახეს მიიღებდა ეს ახალი ცდა მოდელასწაულ რეაქციისა, რომ რევოლიუციას არ მოესწრო და მას არ შეემუსრა, არ აღეგვა ჩვენ ქვეყნისა თვითმეურობელობა და მისი მასსაბადოებელი იდეოლოგია. დღეს ჩვენ არ ვიცით, როგორ მოეწეო სკოლის საქმე რუსეთში, დარჩა თუ არა იქ ინსტიტუტი კლასის აღმზრდელებისა, და თუ დარჩა, ინსტრუქციის რომელ ნაწილს აქვს აქ მიქცეული უმთავრესი ეურადღება: მოწაფეთა განმანათლებელ განმავითარებელ და პოლიტიკურად თავისუფლადმოზრდელს, თუ წინად გამეფებულ პოლიციურ-ყანდარმულს, წვრილმანებისაგან შემდგარს, სისტემას?

რუსეთის რევოლიუციამ საქართველოში სასწაული მოახდინა: ჩვენი ქვეყანა აღსდგა, მონობის უღელი გადიგდო კისრიდგან და თავისუფალი, სუფერენული რესპუბლიკა შეექმნა. საქართველმა ერმა წარმოუდგენელი და მოულოდნელი სიდინჯე, შეგნება, სიმტკიცე და თავისუფლებისადმი სიყვარული გამოიჩინა. განახლდა, გადახალისდა, ძირითადაც შეიცვალა საქართველოში სხვა და სხვა დარგი ცხოვრებისა; სხვა და სხვა დაწესებულებამ და ინსტიტუტმა მიიღო ახალი სახე, ახალი შინაარსი, ახალი დროის შესაფერი მართვა-გამგეობა, წესწეობილება, სისტემა. ქართულ სკოლაშიც დაიწეო ცვლილება ნაწილობრივი, თან და თანობითი მისი გაერთვნება; ქართული ენის, გამოთქმის, სიტყვა ფრაზის შეტანა, გაძლიერება. მაგრამ რაც შეეხება სკოლის მართვა-გამგეობას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მისი ნაწილობრივს, შეკვეცილ ავტონომიას,— სწავლა-აღზრდის სისტემას, თანამდებობათა განაწილებას, მათს ფუნქციებს, — თითქმის იგივე დარჩა, რაც რეაქციონურ რუსეთში არსებობდა.

სხვათა შორის, უცვლელად, პირდაპირ ინერციით ჩვენს სკოლას გადმოეცა ინსტიტუტი კლასის აღმზრდელებისა და მათ სახელმძღვანელოდ შედგენილი ინსტრუქცია. ჩვენს განახლების გზაზე დამდგარ ახალ სკოლას თან გადმოევა ბევრი ძველი დროის ადმინისტრატიული პირებიც, რომლებსაც ბედმა არგუნა, ნებსით, თუ უნებლიეთ, წინეთ გამეფებული სისტემის განმტკიცება საქართველოს სკოლებში. მე მინდა ვიწყმუნო, რომ მათ,— ქართველ დირექტორებს და ინსპექტორებს, განახლებულ ეროვნულ ქართულ სკოლაში არ გადმოეოფლიათ სიმპატია და მოშხრეობა ძველის სისტემისა; რომ მათ ახალ სკოლაში სამსახურის განგრძობით შეგნებულად უარჰყოფს ძველებური საადმინისტრაციო პირთათვის საკვლდებულო პედანტობა, რუტინა და ბიუროკრატობა; რომ მათ ახლა სხვა ამხანაგებთან ერთად სურთ სოდიალრული, ნაეოფიერი, აზრიანი თავისუფლება — თანასწორობის პრინციპზე აღშენებული ეროვნული მოქმედება და მოღვაწეობა.

თავის თავად ცხადია, რომ დემოკრატიულ საქართველოში, სადაც ეოველგვარი თავისუფლების დროშაა აფრიალებული, არავითარ თისკალურ-ყანდარმულ სისტემას და მიმართულებას არ ექნება და არც აქვს ადგილი. ამ მხრივ ჩვენი სკოლა და მისი ხელმძღვანელნი ბედნიერნი არიან, ვინაიდგან მათ სულს, გულს და გონებას საშინელი სიმძიმის ქვა — რეაქციონურ იდეოლოგიის განმტკიცება — ჩამოტიდა.

ასევე სასიამოვნოდ შეიცვალა კლასის ამღზრდელების მდგომარეობაც, ე. ი. იმათაც ჩამოშორდა ძალათ მოხვეული და მათი დირსების დამამცირებელი და რწმენის შეურაცხეოფელი თისკალური ფუნქციები. მაგრამ სულ ეველაფერი ეს მოხდა თავის თავად, — ბოლტიკურ ვითარების ცვლილების მეოხებით.

დანარჩენი სუფველაფერი სწავლა-აღზრდის საქმეში თითქმის ძველებურად დარჩა. დღეს გარეგნულად აღზრდის სისტემა იგივეა, რაც რუსეთში იყო რევოლიუციამდის. ეოფილი დირექტორები და ახლებიც ინერციით ძველს გეზს მისდევენ. მასწავლებლები ძველებურად ისევ არიან ჩაბმულნი მათთვის და მათის ნაეოფიერი შრომისთვის დიდად მავნებელი და თან დამამცირებელი კარიდორულ მოღვაწეობაში.

დღესაც იგინი, როგორც წინეთ, პირველ კაკვეთილიდგან ბოლომდე უნდა დარჩნენ სასწავლებელში, ორი კაკვეთილის მეტიც რომ არ ჭქონდეთ: დღესაც ისინი არიან ვალდებულნი კლასში ცარცზე, დაფაზე, კალმისტარზე და საწერელზე იზრუნონ; დღესაც მათ ევალებათ შეიტეონ მიზეზები და რაოდენობა გამოშვებულ კაკვეთილების შესახებ და მიიღონ ზომები მათ შესამცირებლად; დღესაც მათ უნდა შეადგინონ უწყებები, მოწმობები და სხვა ქაღალდები კანცელიარიისთვის და ბავშვებისთვის დასარიგებლად; დღესაც მათ მინუსად ჩაეთვლებათ, თუ მათმა კლასმა სწავლის ფუფლი დროზე არ შემოიტანა, დღესაც იგინი მოვალენი არიან მიწერ-მოწერა იქონიონ მშობლებთან, შეატეობინონ მათ მათი შვილების ნიშნები, ან და მათს შესახებ პედაგოგიურ საბჭოს დადგენილება; დღესაც მათ, ხშირად, სახელმოხვეჭილთ, მხეოვანთ, მოწყეფა-ამხანაგებში დიდად პატივცემულთ საპედაგოგო საპარეზზე შემოხვევით, უღირსებოდ, დაუმსახურებლად ამოტივტივებული უფრო მიაგზავნ-მოაგზავნის, შენიშვნას აძლევს, ტუქ-

სავს, და დღესაც მასწავლებლები, მათთვის შეუფერებელ და დამქანცველ მუშაობის მეოხებით, თავის პირდაპირ მოვალეობას — სწავლის დირსეულად და სიფუძვლიანად წარმოებას — ვერ უძღვებიან, ვერ ახერხებენ, მეცნიერებას და ცხოვრებას თან და თან შორდებიან, გონება უმწყლედებათ, ენერგია უდუნდებათ, საზოგადო საქმეს შორდებიან, — ერთის სიტუვით, საბოლოოთ თუ არსებითად არ შეიცვალა მათი მდგომარეობა. მათ გონებრივი ინვალიდობა არ ასცდება. და ეს მაშინ, როდესაც იგი უნდა იყოს, — თავის მოწოდებით და დანიშნულებით სკოლაში და საზოგადოებაში — ცოდნის, განვითარების, აზრიანობის შებაირახტრე და წარმოშვადგენელი.

თავისთავად იბადება საკითხი: ნუ თუ ის სისტემა სწავლა-აღზრდისა, განსაკუთრებით კი აღზრდისა, რომელიც ძველმა ბარბაროსულმა და რეაქციონურმა რუსეთმა გვიანდერძა, ისეთი სადი, ჰედაგოგიური, ადამიანური, ჭკვიანიური და სარგებლიანი გამოდგა, რომ საჭირო არ არის მისი ძირითადი გადასინჯვა, გარჩევა, კრიტიკის ქარ-ტეხილში გატარება, შეცვლა-შეკეთება, და, თუ საჭიროა, თ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და განსხვავება მხოლოდ იმაში გამოისახვის, რომ იგი შეიძლება აღიზარდოს ცუდად იმ დროს, როდესაც მას შეეძლო მიეღო აზრიანი და ჯეშმარიტი აღზრდა, — ერთი სიტყვით, საგნებზე და ცხოვრებაზე ერთგვარ შეხედულებას შეადგენს — სწორია ეს შეხედულება, თუ მრუდე, ეს სხვა საკითხია. ერთგვარ ზნეობრივ კოდექსის შექმნისაკენ თქვენ არ შეგიძლიათ ბავშვი დაიყარეთ, დაიცვათ. სასკოლო ხანაში კი, როდესაც ბავშვში გონებრივი ცნობის მოუვარეობა აღძრულია, შეგნება-შემეცნების და მოქმედების წრე თანთანდება; განსაკუთრებით, როდესაც ბავშვს დაეტყობა ძლიერი მისწრაფება უფროსთა წაბაძვისა, — ამ დროს ზნეობრივი აღზრდა და ჩამოყალიბება უფრო ცხადია, უფრო ხელშესახებია.

მაგრამ, როგორც ცნობილია, მხოლოდ სკოლის მშრალ სწავლას არ შეუძლია დააკმაყოფილოს ბავშვის მოძრავი ბუნება და პასუხი გასცეს ყველა იმ საკითხებს, რომლებიც ბავშვის გონების წინ ძალაუნებურად წარსდგებიან ხოლმე. წრე კი ასეთის საკითხებისა ოფველ წლობით შეუჩერებლივ თანთანდება, იზრდება; და მათი ასე თუ ისე გადაწყვეტა — პასუხზეა დამოკიდებული ხასიათის განსაზღვრა მოსავალის ადამიანისა და მოქალაქისა. თუ ბავშვი ვერ ღებულობს პასუხს უფროსებისაკენ, ვერ პოულობს მას პირდაპირი სწავლაში, — მაშინ ის ან თითონ, თავისებურად უპასუხებს ამ კითხვებზე ან და ითვისებს სხვისაკენ გადაწყვეტილ-შედგენილს პასუხს.

საზოგადოდ ძნელია იმის შემჩნევა, თუ როგორ ხდება ეს საინტერესო პროცესი; ძნელია იმ კანონების ჩვენებაც, რომლის წყალობით ბავშვის ბუნებას შეაქვს თავის საამაურობაში ოფველი ახალი შენაძენი.

ეი სწორედ აქ, ამ საქმეშია, საჭირო შეგნებული და აწონ-დაწონილი აღმზრდელობითი ხელმძღვანელობა და გავლენა საზოგადოდ სკოლისა, კერძოდ მასწავლებლებისა. ეი ამ საქმეში უნდა დავაკისროთ სწავლას (преподованіе) აღმზრდელობითი მოვალეობა, ე. ი. თვით შემეცნების გადმოცემაში უნდა იქნეს შეტანილი აღმზრდელობითი ელემენტი. მაგრამ ისმება კითხვა: როგორ და რა სახით? სანამ ამ საკითხზე მიუგებდეთ, მეტი არ იქნება გავარკვიოთ, თუ როგორ უნდა გვესმოდეს დღევანდელ პოლიტიკურ და სოციალურ პირობებში შემეცნება: „სწორი აღზრდა“.

საბოლოო მიზანი გონიერი აღზრდისა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ბავშვის გონებაში თანდათანობით შეეტანოთ ჯეშმარიტი შეგნება იმისა, რაც მას გარს ახვევია, ე. ი. ეველა იმ საგნებისა და მდგომარეობის, რასაც მის გარშემო აქვს ადგილი. განსაკუთრებით, შეგნება და გაცნობა იმ საზოგადოებრივ წესწყობილებისა, რომელშიაც ის უნდა შეექმნეს აქტიური მონაწილე და მომქმედი

ეს პირველ ოფველისა. ამის შემდეგ, როგორც შედეგი და ნაყოფი უკვე გაგებულ-გაშუქებულისა, ბავშვის გეთილი ადგილ უნდა გადიქცეს შეგნებულ მისწრაფებათ ჯეშმარიტების და სამართლიანობის იდეისკენ და ბოლოს, როგორც შედეგი ორივე პროცესისა, მიზნად აღზრდისა უნდა გახდეს თანდათანობითი განსახიერება თანამედროვე მოწინავე რწმენათა, შეგნენა მტკიცე და თავისუფალის ხასიათისა და ნებისყოფისა; მაშასადამე, შეგნება და შექმნა იმ მოქალაქობრივ და საკანონმდებლო სათნოებათა, რომელნიც შეადგენენ საზოგადოების და დროის საუკეთესო სამკაულს.

ცხადია, რომ მიზანი პასუხსაგები და მძი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეა. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს საუკეთესო შემთვისებელ და კამეონე მასალასთან — ნორჩსა, მკვირცხლსა და ფაქიზ ახალგაზდობასთან; ნუ დავივიწყებ ისიც, რომ ბევრი რამ ნავარაუდევ მიზნებიდგან უკვე ინახება ბავშვის ბუნებაში, მხოლოდ საჭიროა მათი კამოწვევა და გაღრმავება.

რაც შეეხება იმ საკითხს, თუ რა ადგილი უნდა დაეთმოს სწავლის მსვლელობაში ადმზრდელობითს ელემენტს, ჩვენ არ ვიზიარებთ იმ შეხედულებას, რომელიც ამ ელემენტს განსაკუთრებულს, უმთავრეს მნიშვნელობას აძლევს საზოგადოებრივ განათლებაში: სწავლებამ პირველ ეოვლისა უნდა გაამდიდროს ბავშვის ონება კამორკვეულ, უდავო და უთუო ცნობებით. სრულებით სამართლიანია ის დებულება, რომლის მიხედვით სწავლება უნდა შეუფარდდეს არა მარტო ბავშვის ნებას, არამედ ოვით დამოწმებულ მეცნიერების არსებას (сущность).

სწავლება უნდა ექვემდებარებოდეს მეცნიერულ მოთხოვნილებებს და ოვით სასწავლო საგანი არ უნდა გახდეს დასახმარის იარაღად სხვა გარეშე მიზნებისათვის. ხშირად კი საგნის, მეცნიერების სხვა და სხვა დარგის შეთვისება სკოლაში ემსხვერპლება, ეგრედ წოდებულს, ბავშვის განვითარებას. ეს პედაგოგიკის უკანასკნელ სიტყვათაც მიაჩნიათ ზოგიერთებს.

მაგრამ განვითარება, — იქნება თუ არა იგი შედეგი სწავლებისა ან აღზრდისა, თუ იგი არ დაეფუძნა, არ დაეურდნო დადებითს ცოდნას, უტყუარ ფაქტს, მომეტებულ შემთხვევაში ფრაზად იქცევა, საპნის ბუშტს დაემსგავსება. ასეთი უნიადაგო და ზერელე განვითარება ამრავლებს მერეევი, ზერელე, მაგრამ თავმოყვარე, გულზვიად ადამიანებს, რომლებსაც არ აქვთ არც ერთი თავის საკუთარ შრომით და დაკვირვებით შეძენილი აზრი, შეხედულობა. ასეთი ადამიანთა კატეგორიაა, რომ აძლევს საზოგადოებას ფრაზიორებს, მეოცნებებს, საქმის ცუდად ადმსრულებლებს.

ზემორე თქმულიდგან სრულებით არ შეიძლება იმ დასკვნის გამოყვანა, რომ ჩვენ არსებითად წინააღმდეგი ვიყოთ, ეგრედ წოდებულ, განვითარებისა. პირ იქით, ჩვენ ხაზი გვინდა გავუსვათ, რომ ამ უკანასკნელს უნდა დაეთმოს მეორე საპატიო ადგილი სკოლის ცხოვრებაში, რაც აწინდელს სკოლაში, საბუნუსარად, თითქმის მივიწყებულია. ჩვენში, როგორც ვთქვით, დღესაც ორ დიდ ბურჯზეა დამყარებული სკოლის არსებობა: სწავლებასა და გარეგნულ დისციპლინაზე. თითქოს ყველას დავიწყებია, რომ ცოდნა ჭქმნის მხოლოდ მეცნიერს, სწავლულს, განვითარება კი ყველაბებს ადამიანს, ჭქმნის პიროვნებას. უეჭველია, რომ განვითარება უნდა ემყარებოდეს სად ცოდნაზე, უნდა იყოს ამისი პირდაპირი შედეგი და დასკვნა. მაშინ აქვს განვითარებას მხოლოდ ფასი და მნიშვნელობა. ეი სწორედ ამ მოსაზრებით ვაუენებთ ჩვენ განვითარებას მეორე ადგილზე. მასწავლებელმა არას დროს არ უნდა დაივიწყოს თავისი პირდაპირი მიზანი — ცოდნის სისტემატიური გადაცემა, მაგრამ, იმავე დროს მას უნდა ახსოვდეს მეორე თავისი მიზანიც — შეგირდების განვითარება. დაგვრჩენია ახლა ვსთქვათ: რა ნაირად უნდა იქნეს შეტანილი ადმზრდელობითი ელემენტი სწავლებაში?

დადებითად და დაწვრილებით ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ჩვენ ვერ ვკისრულობთ,

ვინაიდგან ეს საკითხი, თუმცა ბევრჯერ დასმულა რუსეთში, მაგრამ დეტალურად გარჩევა-გამოკვლევას, ჩამოყალიბებას არ ღირსებია. იმ დროს, როდესაც მართველ წრეებში, ცენტრალურ სათანადო დაწესებულებებში და სხვა და სხვა ნება დართულ და ოფიციალურ მასწავლებელთა კრებებზე დაწვრილებითი გეგმები, მთელი სისტემები ითხზებოდა საგნების სწავლებისა და სკოლის დისციპლინარული ადმინისტრატიულ მართვა-გამგეობის შესახებ, ადმზრდელობითი ელემენტს სწავლებაში, — ე. ი. განვითარებას, ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით, არავინ აქცევდა უურადღებას. ოფველივე ოეორიას და განუენებულ სქემებს თავი რომ დავანებოთ, განვითარების სათანადოდ დაუენებაში ბევრია დამოკიდებული მასწავლებელთა ნიჭიერებაზე, მათ საკუთარ განვითარებაზე და ბოლოს ოვით საგნის თვისებაზე. თუმცა უმთავრესად ნაოოფიერება მასწავლებელთა მუშაობისა ამ სფეროში სკოლის მმართველის პირად ღირსებაზე და ორგანიზატორულ ნიჭზეა დამოკიდებული.

✓ სკოლა რომ სასურველ დონეზე დადგეს ამ მხრივ, თავდაპირველად საჭიროა, რომ მისი მეთაური იყოს ისეთი პიროვნება, რომელმაც უნდა გაერთიანოს მასწავლებელთა კოლეგია, რაკორც სწავლების, ისე მოწაფეთა განვითარების საქმეში, რომელიც უნდა იჩენდეს შემოქმედებითს უნარს, ინიციატივას; რომელიც თავისი შორსმჭვრეტელობით, გონების სიფხიზლით, ნიჭიერებით, ტაქტით და საქმიანობით უნდა იყოს რჩეული და ავტორიტეტიანი. ამასთან უფროსს უნდა სწამდეს, რომ არა ბიუროკრატიული ხერხით, არა უსულ-გულო და გარეგნული წეს-რიგით, არა მექანიკური, ავტომატიური კარიდორებში ხეტიალით, არა თვმესოფებური ქადაღდზე ხელის მოწერით და კაბინეტური — ბედანტურა-ჩანაწერებით, არა ტრადიციულ, მომბეზრებელ ქადაგებით და არა უკანასკნელ დროში მოდაში შესული უსაზღვრო მიტევება პატივების სისტემით — ამ ჭეშმარიტ ჰუმანიზმის სურროგატით — გაჩაღდება ცხრიანი და ნაოოფიური მუშაობა სკოლაში. უფროსი უნდა იყოს სულის ჩამდებელი, უმთავრესი ნერვი, დედა-ძარღვი სკოლის სადი, მადლიანი, თავისუფალი, და პროგრესიული მუშაობისა. მისი ნების ეოფა მეხრეჭივით კი არ უნდა უჭერდეს სინიდის და გრძნობა-გონებას მასწავლებელთა და მოზარდ თაობისას; მისი იერიდიული უფლება თავმოყვარეობის და პატივმოყვარეობის წყაროთ არ უნდა გადიქცეს! —

თავისი ძლიერება მან მხოლოდ თავისი ხასიათის სიმტკიცეზე, ზნეობრივ სიფაქიზეზე, გონების სიძლიერეზე, მომზადებაზე, ნიჭიერებაზე, სიტყვისა და კალმის მჭრელობაზე უნდა დაეფუძნოს და დაამყაროს.

მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი მეთაური ჩვენს სკოლას არც წინეთ ყოლია და ახლაც ნაკლებათ ჰყავს. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენ-გებში ზემორე ნაჩვენები თვისებების პიროვნებანი არ მოიპოვებოდნენ, არა. ასეთები იყვნენ და დღესაც არიან, მაგრამ სისტემა წინეთ და ახლაც ჩრდილავს ასეთებს. ვინ არ იცის, რომ დღესაც ჩვეხი სკოლა ბიუროკრატიულად იმართოვის. ჯერ-ჯერობით მაინც არ სჩანს არსად სხვა უფრო რაციონალური პრინციპი ადზრდისა და მართველობისა.

ცენტრალიზაცია აუცილებელია, როდესაც სწავლა-ადზრდის საქმე მთავრობის მონოპოლიას შეადგენს; ბიუროკრატიზმი ხომ აუცილებელი შედეგია ცენტრალიზაციისა. სხვა ვინ

არის ბრალეული, კარდა ისტორიისა, რომ დღესაც ჩვენში სკოლის უფროსები უფრო მოხელენი არიან, ვინემ აღზრდელნი, რომ მათს არჩევნებში დღესაც თითქმის იმავე მოტივებით და იმავე ბრძნობით ხელმძღვანელობენ, როგორც წინად.

ისტორია ისტორიაა, მაგრამ ჩვენ განახლებულ სამშობლოს და კადაგვარებას კადარჩენილ სკოლას, რომ სხვა კრიტერიუმით არჩეული და სხვა დირსებით დაჯილდოებული პირნი ესაჭიროებიან,—ეს ეველასათვის უდავო ჭეშმარიტება უნდა იყოს.

ჩვენში, როგორც ვიცით, დადგა ახალი ხანა, ახალი დრო; საჭიროა ცხოვრების არამცთუ გადახალისება, ძირიანად შეცვლა. სხვათა შორის, საჭიროა სკოლისაც ერის მომავალის საძირკვლის გამოცოცხლება, გაერთიანება; საჭიროა სკოლაში თავისუფლების და ჭეშმარიტების დამკვიდრის გაჩირადღნება; საჭიროა, რომ ჩვენმა სკოლამ გაწმინდოს, გაათავქიზოს რეაქციონერობით და მონურ ინსტინქტით გაჭუჭყიანებული ქართველ მოზარდი თაობის სული და გული; საჭიროა, რომ აღზარდოს საუკეთესო თვისებების მატარებელი მოქალაქე და საუკეთესო ქართველი და ადამიანი

ვინ უნდა ხელმძღვანელობდეს ასეთს საშვილიშვილოდ საკეთებრივ საქმეს? ვის უნდა ეჭიროს საჭე და კომერტონი? უეჭველია, სკოლის დირექტორ, მოწინავე და განათლებულ განვითარებულ და ავტორიტეტიან უფროსს. დიად, დირექტორს უნდა ეჭიროს, მაგრამ... საკითხია. საიდან და როგორ უნდა გამოიძებნოს ასეთი პირები? ნუ თუ დღესაც ის პირები უნდა ხელმძღვანელობდნენ და ასულდგმულებდნენ ჩვენს განახლებულ გზაზე დამდგარს, თავისუფალ საქართველოს სკოლებს, რომლებისათვის, როგორც ერთი რუსი გამოჩენილი პედაგოგი ამბობს, არავის უსწავლებია მძიმე საქმე პედაგოგიისა, რომლებიც არჩეულნი იყვნენ და არიან არა მათი პედაგოგიური მომზადების და დამსახურების მიხედვით; რომლებიც წინეთ და დღესაც ძველი მოხელეების როლს ასრულებენ, საკანცელარიო ქალალდებში არიან ჩაფლული და რომლებიც ვერ შესძლებენ, ბევრიც რომ მოინდომონ, მასწავლებელს-მოწაფეეფთან გაბანან ძაფი ზნეობრივისა და გულწრფელის კავშირისა?!

ფაქტია, რომ სწორედ დღემდის მომეტებულად ასეთი პირები უდგანან ჩვენ სკოლების სათავეში, სწორედ ისინი არიან მრჩეველებად სამინისტროში. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ზოგიერთი ასეთი პირებიც მოჭვენენ სკოლის სათავეში რევოლიუციის კალრმავების ხანაში, რომლების მთავარ დირსებას წარმოადგენენ მხოლოდ ახლო მეგობრულ-ნათესაური ნაცნობობა „ამა ქვეყნის ძლიერებთან, ან პარტიულ ცხოვრებაში რამე დამსახურება. ასეთ არჩევის დროს ივიწყებდნენ იმ ელემენტარულ ჭეშმარიტებას, რომ ვინმე პირი შეიძლება იყოს ტაბიდი მეგობარი, თავგანწირული ნათესავი, თვალსაჩინო პარტიულ-პოლიტიკური მოღვაწე, მჭერმეტყველი ტრიბუნალი და მქადაგებელი, მაგრამ იმავე დროს გამოუცდელი, გაუნათლებელ-უცოდინარი, მოუმზადებელი და უნიჭო პედაგოგ-ადმზრდელი, მით უმეტეს, პედაგოგ-უფროსი!

მართალი უნდა ითქვას, რომ არც მასწავლებელთა გადაჯგუფება მომხდარა ჩვენში წმინდა პედაგოგიური პრინციპების მოხედვით. და იმ ობიექტიური თვალსაზრისით, თუ ვინ სად და როგორ რიგში უფრო იქნებოდა თავის ადგილზე და გამოსადეგი. სამწუხაროდ ფაქტია, რომ ბევრი გამოცდილი, ნიჭიერი, მცოდნე, უწინ-

დელ დროში პროვინციებში გადასახლებული ჩამალულნი მასწავლებელი, დღესაც იქვე არის, და ეს იმ დროს, როდესაც მათი ნიჭი, გამოცდილება, აქტივობა, კადრი და ენა აქ, ცენტრშია საჭირო, ჩვენი სკოლის გარდამქნის დროს გულახდილად უნდა ვსთქვათ, რომ თბილისში, ამ საქართველოს გონებრივ ცენტრში, მასწავლებელთა თავმოყრა-შეკვრება მოხდა უმთავრესად პარტიულ თვალსაზრისით და არა მათი მომზადების, ცოდნის, გამოცდილებისა და ნაყოფიერი წარსულის მიხედვით.

აი ასეთი ელემენტებისაგან შესდგებიან ჩვენი სკოლის მეთაურნი და მორიგი მოქმედნი; მათ უჭირავთ დღეს ხელში სკოლის ბედი და იღბალი; უმთავრესად მათი რჩევისა და ნაკარნახევის ზედგავლენით უნდა მოხდეს განზრახული რეორგანიზაცია სკოლისა, რომლის მოსაგვარებლად და მოსაწყობად უკვე ხდება თბილისში დირექტორებისა და სასწავლებლების თითო წარმომადგენელთაგან შემდგარი თათბირი. ჩვენ არ ვიცით, თუ რა ნაყოფს გამოიღებს მათი თათბირი, თუ რა ხასიათს და მიმართულებას მისცემს ის მომავალ ქართულ თავისუფალ სკოლას, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ასე უცებელად, მოუმზადებლად, ძასალა დაუგროვებლად, ჩვენებურთა ფარეთ წრის, აი მაგ. მასწავლებელთა კავშირის, დაუკითხავად, ბრესის და საზოგადოების აზრისა და მოთხოვნილების მოუსმენლად წარმოებული თათბირი არსებითად ვერ შესცვლის სკოლის ცხოვრების მიმდინარეობას და ვერ ასცილდება ძველს გაზს, ძველრბილში გამჯდარ, მაგრამ ცხოვრებისაგან უარყოფილ, გარეგნულ ფორმალურ სწავლა-აღზრდის სისტემას

დასმული საკითხი იმდენად საჭირ-ბორბალ და საპასუხმგებლოა ერის და მისი მომავლის წინაშე, რომ მის შესახებ გამოთქმული აზრი, თუ გინდ კერძოდ იყოს, თუ გინდ [illegible] ეწინააღმდეგებოდეს არსებულ სისტემას, უნდა იქმნეს მოსმენილი და მიუდგომელად, მხოლოდ მოზარდ თაობის ინტერესის და საღი პედაგოგიური მოთხოვნილებათა თვალსაზრისათ დაფასებული და, თუ ღირსია, მიღებულიც.

ჩვენ დღეს, დიდს და პატარას, უფროსს და უმცროსს, კაგლენიანს და მორიგს ერთნაირად უნდა გვაინტერესებდეს სკოლის ბედი საქართველოში, და ეფველივე სიტყვა, გულწრფელად, დაუფარავად და საფუძვლიანად თქმული, არავის არ უნდა ეწყინოს, და თუ მაინც და მაინც ვისმეს ეწყინა და თავისი თავის და თავის მოქმედების კრიტიკათ მიიღოს, ამასაც ნურავის მოერიდება, მით უმეტეს, ამისი ნურავის შეეშინდება!

ყველა ზემო თქმულიდგან და მოყვანილ მოსაზრება—მოტივებიდგან და წარსულის მოგონებიდგან ჩვენ უნდა დავასკვნათ შემდეგი:

1. იმ დროს, როდესაც ჩვენი პოლიტიკური ცხოვრება ძირიანად განახლდა და საუკეთესო ფორმა მიიღო მისმა არსებობამ, ამ დროს ჩვენი სკოლა და მისი ცხოვრება ძველი კალაპოტით მიმდინარეობს: მას საკუთარი შერჩა ძველი სისტემა სწავლებისა და, რაც უფრო საძეწუხარო, ძველი გარეგნული ფორმალური სახე აღზრდისა. შერჩენ მას აგრეთვე ძველი წესით არჩეული და ძველი სისტემის მომხრე უფროსები, გამგეები. ამისათვის საჭირო:

I. უნდა მიეხედოს საშუალო სკოლას სრული ავტანომია, რომელიც გამოიხატება:

ა) გამგეების, დირექტორ-ინსპექტორების, მასწავლებლების არჩევაში. რომელთაც ამტკიცებს სათანადო უწყება.

ბ) მასწავლებელთა კავშირის მიერ მოწონებული და სათანადო დაწესებულებათა მიერ დამტკიცებული სწავლის გეგმის თვრგალში სრული თავისუფლება.

გ) სასწავლებლის შესანახად გადადებულ თანხის ნაწილობრივ გადატან-გადმოტანის, რაოდენობათა შეცვლის და სხვა და სხვა სამეურნეო საქმეებში თავისუფალი მოქმედება.

შენიშვნა: რასაკვირველია, ძირითადი შუალები ხარჯ-აღრიცხვისა უნდა დარჩეს ისე, როგორც ეს იქნება მთავრობისაგან დამტკიცებული

II. დედა ძარღვად სკოლის ცხოვრებისა, რასაკვირველია, როგორც ოჯახისა, უნდა დარჩეს სწავლება და აღზრდა, მხოლოდ ძირიანად უნდა შეიცვალოს მათი სისტემა და ხასიათი. ამისათვის საჭიროა:

ა) მთავარი ყურადღება მიექცეს სხვა და სხვა საგნებში სწორი და ნამდვილი ცოდნის და ფაქტების სისტემატიურ გადმოცემას..

ბ) ამ გადმოცემულ-შეთვისებულ მასალაზე და ცოდნაზე უნდა დაეყრდნოს ბავშვების გონების განვითარება, ზნეობის გათავქიზება, აზრშეხედულობის, და პოლიტიკურ სოციალურ რწმენის შემუშავება და განმტკიცება, ე. ი. თვითმეცნიერება, თვით სწავლება უნდა გახდეს, გამოცდილ მასწავლებელთა ხელში, აღზრდის უმთავრეს და ძირითად საშვალებად ..

შენიშვნა: ვინაიდგან ეს საკითხი ახალი და რთულია, ამისათვის იგი დეტალურად უნდა იქმნეს გაშუქებულ-გამორკვეული მასწავლებელთა კავშირის ხელმძღვანელობით. პედაგოგების უახლეს მონაწილეობით ჩამოყალიბებული და უმრავლესობის მიერ მოწონებული გეგმა უნდა იქმნეს წარდგენილი იმართველ დაწესებულებაში დასადასტურებლად.

გ) სწავლა-განვითარების და აღზრდის მოსაგვარებლად უნდა დაარსდეს მასწავლებელთა თვალუურეთა ინსტიტუტი, რომელსაც დაევალება ამ საქმის წარმოება და ხელმძღვანელობა. მასწავლებელთა შემადგენლობა, საგნების და მათის ხასიათის მიხედვით და პირადი მათის სურვილის თანხმად, დანაწილდება საგნობრივ კომისიებად. ზედ მიწვენით უნდა შესდგეს შემდეგი კომისიები: სიტყვიერების, ისტორია გეოგრაფიის, მათემათიკას, ენების, ფილოსოფიურ პროპედევტიკის...

სასურველია, რომ აღმზრდელობითი მნიშვნელობის თვალსაზრისით, ცენტრალურ და უმთავრეს კომისიათა ჩაითვალოს ჭუმანიტარულ საგნების კომისიები, ვინაიდგან ამ საგნებში უადრესათ შეიძლება შეტანა აღმზრდელობითი ელემენტისა.

კომისიებს ევალებათ:

ა) წელიწადში ერთხელ ან ორჯერ საგნობრივ პროგრამების შედგენა და წლის განმავლობაში, ცარემოებათა მიხედვით, მათი შეცვლა-შევსება-გამოკლება.

ბ) მათი უმთავრესი მოვალეობა იმაში იქნება, რომ ხელი შეუწყონ მეცნიერების გადაცემა-შეთვისების დროს აღმზრდელობითი ელემენტის შეტანასა და ამის წესლობით შეგირდების განვითარებას, მათი მსოფლხედველობის, მოქალაქობრივ და მორალურ პრინციპების ჩამოყალიბებას და სხვა. საშვალებები ზემოწვენით შემდეგი უნდა იყოს:

ა) საგნების, შეგირდების ასაკის, მათი განვითარების, ცხოვრებისა და დროის მიხედვით საკითხავი წიგნების სიების შედგენა;

ბ) წაკითხულ წიგნების შინაარსის და დედა აზრის და განცდის სხემატიური წერითი გადმოცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) მათი გადათვალიერება, შენიშვნებისა და შესწორების შეტანა მასწავლებლის მიერ

დ) კვირაში ერთხელ, შაბათ საღამოს ან კვირა დილას, მასწავლებელთა და მოწაფეთა ბასსი და თანბირი წაკითხულ წიგნების გამო.

ე) წაკითხულ-განხილულ თხზულებათა ზედ-გავლენით აღძრულ საკითხების მოწაფეთა მიერ რეფერატის სახით განხილვა და გარჩევა და ამ რეფერატების ყველა მოწაფეებისა და კორპორაციის თანდასწრებით მოსმენა და მის შესახებ კამათი; ან და მსოფლიო რომელსამე კლასში საგნობრივ კომისიის თანდასწრებით მოსმენა.

ვ) წელიწადში ერთხელ, წლის ბოლოს ან დასაწყისს, გამართვა ასზეიმო საღამისა შეგირდებისა და კორპორაციისა, სადაც წაკითხული იქნება ანგარიში სხვა და სხვა კომისიების წარსულ მუშაობისა. აქვე წაკითხულ იქნება შეგირდების საუკეთესო რეფერატები და გაიმართება მათ შესახებ კამათი. ამ კრებაზე შეიძლება თვითონ საზოგადოებაც დაესწროს.

III. თუ მასწავლებელს, გარდა ბირდაბირ მოვალეობისა-საგნის სწავლებისა-აღნიშნული დიდი საქმეც დაევალება, მაშინ თავის თავად ცხადია, უნდა მოისპოს უკვე არსებული ინსტიტუტი კლასის ამღზრდელებისა. თავის დღევანდელ ფუნქციებით, ვინაიდგან ეს ინსტიტუტი, როგორც ვსთქვით, სრულებით არ შეეფერება არც მასწავლებლის ბირთვნებას, არც ხასიათს მისი საქმიანობისა და მხოლოდ აქვეითებს მასწავლებელს გონებრივად, უფუჭებს მას ნერვებს, აწვრილმანებს და უკარგავს შეგირდებში ავტორიტეტს.

IV სკოლაში გარეგნული დიხიპლინაც, უეჭველათ, საჭიროა. მაგ., საჭიროა, რომ კლასში ხელსაწყო ნივთები იყოს, კარიდორებში სინწყნარე სუფევდეს; საჭიროა, უურადღება მიექცეს შეგირდების მიერ გაკვეთილების გამოცვლას, დანაშაულობას და სხ. და სხვა. ამ ფუნქციის შესასრულებლად შეიძლება დარჩეს არსებული ინსპექცია, მხოლოდ შემდეგის ცვლილებით: ინსპექტორს დამხმარედ დაენიშნოს ორი თანაშემწე და ერთიც მეთვალყურე (надзиратель), რომლებიც გაკვეთილებიდგან იქნებიან განთავისუფლებული.

ასე შემდგარ კოლეგიას დაევალება დესციპლინის, საზოგადოდ სასწავლებელში გარეგნულ წეს-წყობილების გაძღოლა. ამ კოლეგიას შეიძლება დაერქვას საადმინისტრაციო კომისია.

სანამ სკოლაში ხაჭირო და სასურველი ძირითადი სწავლა აღზრდის რეორგანიზაცია მოხდებოდეს და დაკანონდებოდეს, დღესვე მასწავლებლის უნდა მოსცილდეს მათთვის შეუსაბამო და დამაქვეითებელი მოვალეობა სწავლის დაწყებიდგან, სწავლის გათავებამდის სკოლაში დარჩეს, თავის კლასის კარებთან ატუზული იყოს, ცარცი და ჩვარი მოიტანოს, ან მოატანინოს, შეგირდების მისამართები ჩასწეროს, ნიშნები გაუგზავნოს მშობლებს, სწავლის ფული აიღოს და კიდევ ბევრი რამ შეასრულოს, რასაც მას დღესაც, უეჭველია, დააკისრებს გამგე-ადმინისტრატორი იმ ტირკულიარის ძალით, რომელიც ერთი თვის წინედ სამინისტრომ დაგზავნა სასწავლებელში და რომელიც ნათლად დადგენს მისი ინიციატორ შემოხზველთა ძველებურ ბიუროკრუტული სულის კვეთებას.

იპ. ვართაგავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვიერება

(გაკვეთილთაგანი)

კონსპექტი: რა არის სიტყვიერება? რა შედგენს სიტყვიერების შინაარსს? სიტყვიერება ზეპირი და წერითი ანუ ხალხური და ავტორისაგან თხზული. გარჩევა ხალხურ ანუ არა ხელოვნურ ნაწარმოებთა და ხელოვნურ ნაწარმოებთა შორის. რა ავქსთ საერთო ხელოვნურ და არა ხელოვნურ ნაწარმოებთ? ნაწარმოების გადარჩევის აუცილებლობა და რითი უნდა ვიხელმძღვანელოთ ნაწარმოებთა გადარჩევის დროს? გაყოფა ნაწარმოებთა ორ დიდ ნაწილად: პროზად და პოეზიად.

სიტყვიერება ეწოდება გონების ნაწარმოებს, რომელიც გამოხატულია სიტყვით. ადამიანი სიტყვის შემწეობით გამოსთქვამს აზრს ანუ მსჯელობას, გრძნობას ანუ გულისთქმას, სურვილს ანუ მისწრაფებას. მაშასადამე სიტყვიერება თვის შინაარსში იპყრობს სიტყვათა საშუალებით გამოხატულს საყურადღებო აზრებს, გრძნობებსა და მისწრაფებებს.

შეიძლება ნათქვამი რაიმე მიზეზით მაშინვე არ ჩაიწეროს მთქმელისაგან, არამედ მხოლოდ ზეპირად იქმნას წარმოთქმული, დახსომებული მსმენელთაგან, ზეპირადვე გავრცელებულ და გარდაცემული ერთი თაობისაგან მეორე თაობისადმი; ან შეიძლება ნათქვამი მაშინვე იქმნას მთქმელისაგან ჩაწერილი, წერის შემწეობით გამოქვეყნებული, გავრცელებული და გადაცემული შემდეგ თაობისადმი. ამ სახით სიტყვიერება არის ორგვარი: სიტყვიერება ზეპირგარდმოცემითი და სიტყვიერება მწერლობითი ანუ ლიტერატურა. ზეპირად თქმულს, ზეპირადვე დასწავლილს, გავრცელებულს და გადმოცემულ ნაწარმოებს ეწოდება არა ხელოვნური ანუ ხალხური ნაწარმოები; ხოლო ავტორისაგან დაწერილსა და ისე გავრცელებულს და გარდმოცემულ ნაწარმოებს ეწოდება ხელოვნური ნაწარმოები.

ზეპირგადმოცემით ნაწარმოებში მთელი ერი იღებს მონაწილეობას: ხალხის გულის ნადებს პირველად წარმოსთქვამს რომელიმე ნიჭიერი შვილი ერისა, ნათქვამი აღიბეჭდება მსმენელთა მეხსიერებაში, გავრცელდება ზეპირსიტყვაობით, გადავა ერთი ადგილიდან მეორე ადგილს, ერთი თემიდან მეორე თემში, მოეფინება მთელ ხალხს და გადადის ერთი თაობიდან მეორე თაობაზედ. პირველად ნათქვამს შემდეგ მთქმელთაგან თანდათან ემატება ახალი სიტყვა, სახე, ამბავი; იზრდება იგი თხრობა, იერს იცვლის ადგილისა და გარემოების მიხედვით, იფურჩქნება ახალახალ ფრად, თუმცა დედა აზრი და უმთავრესი სახეები კი წინანდელივე რჩებიან. ამის გამო არა ხელოვნური ანუ ხალხური ნაწარმოები მთელი ერის ღვაწლით არის შექმნილი; პირველი მთქმელის პიროვნება გაერთიანებუ-

ლია ხალხის პიროვნებასთან, შთანთქმულია მისგან და აღარა სჩანს იმაში. ავტორისაგან შეთხზილი და დაწერილი ნაწარმოები კი წერილობითვე ვრცელდება ხალხში და გადადის ერთი თაობიდან მეორე თაობაზედ; დროთა განმავლობაში იგი ცვალებას არ განიცდის, ხოლო თუ შეიცვალა პირველი სახე ქმნილებისა, შესაძლებელი ხდება მისი აღდგენა, რადგან იმ თხზულების სახე წაუშლელად არის ჩაქსოვილი ასოთა შემწეობით.

ხალხური ანუ ზეპირგადმოცემითი ნაწარმოები და ავტორისაგან შეთხზილ-დაწერილი ნაწარმოები ესე გაირჩევიან ერთმანეთისაგან:

1. განვათარების ისტორიულ მსვლელობაში არა ხელოვნური ანუ ხალხური ნაწარმოები წინ უსწრობს კერძო ავტორისაგან შეთხზილ ნაწარმოებს, რადგან ზეპირი სიტყვა ყოველთვის წინ უსწრობს ნაწერ სიტყვას: ხალხის შემოქმედებითი ნიჭი სთხზავს მაშინაც, როცა ჯერ წერა-კითხვა არ იცის ერმა.

2. ხალხურ ნაწარმოებში მთელი ერი იღებს მონაწილეობას: ხალხი იძლევა ნათქვამის დედა აზრს და უმთავრეს სახეებს, რომლებშიაც აღბეჭდილია ის იდეია თუ განცდა, ხალხივე განავითარებს და განავრცობს პირველ თქმულ ამბავს; ავტორი კი თითონ იგონებს დედა აზრს, თითონა სთხზავს სათქმელს, თითონვე ჰქარგავს საჭირო სახეებს განცდილის დასახატად და თავისივე ქალმის შემწეობით უცვლელადა ჰხდის ნათქვამს შემდეგ ჟამთა მსვლელობაში.

3. ხალხურ ნაწარმოებში დასახულია მთელი ერის სულის კვეთება და განცდა, იქ აღბეჭდილია ის, რაც ძლიერად ქმედობს მთელი ხალხის ცხოვრებაზედ ამა თუ იმ განსაზღვრილ ჟამსა და იპყრობს ერის ყურადღებას; ავტორის ნაწარმოებში კი დასახულია მხოლოდ თვით ავტორის სულისკვეთება და განცდა, თუმცა კი მასაც მჭიდრო კავშირი აქვს ხალხის ცხოვრებასთან, რადგან მწერალი ხალხისავე შვილია, მის წიაღში აღმოჩენილ-აღზრდილი და მისი განცდა ორგანიულად არის დაკავშირებული ხალხის განცდასთან.

4. ხალხური ნაწარმოები უფრო ობექტიურია და დინჯი, რაიდგან ის განსაზოგადოვეებულია და შეეხება კოლეკტიურ ანუ შემკრებელობითს პიროვნებას; ავტორის ნაწარმოები კი უფრო სუბიექტიურია, პირადი სულის კვეთებით გამსჭვალული და ამიტომ უფრო მღელვარე.

5. ხალხური ნაწარმოები სადაა, იგი ვერ ემორჩილება თქმისა და წერის თეორიულად დამუშავებულ კანონებს, რადგან ხალხმა არ იცის ეს კანონები და ვერ იხელმძღვანელებს შემოქმედების დროს ამ კანონებით; ავტორი კი თავის შემოქმედების დროს თეორიულ კანონთა ზედგავლენას ექვემდებარება, რადგან მას შეთვისებული აქვს იგი კანონები, მისი აზროვნება გაწვრთნილია ამ კანონების ზედმოქმედებით და ამის გამო იგი არის ხელოვნური.

6. ხალხური ნაწარმოები უბრალო ენით არის ნათქვამი, ნამდვილ ხალხურით; ამისთანა ნაწარმოებს ეტყობა პროვინციალური თქმის ხასიათი, იგი ატარებს იმ ადგი-

ლობრივი კილოს ნასახს, სადაც გამოგონილია ნაწარმოები ან გარდაქმნილი; ავტორის ნაწარმოები კი იწერება უკვე ხელოვნური დამუშავებული სალიტერატურო ენით: მთხზველი უკვე განვითარებულია, მას შესწავლილი აქვს ლიტერატურული ენა, რომელიც არის განსაზოგადოვებული, მაღლა სდგას ყველა კილოკავებზედ ანუ ენის ადგილობრივ მიმოხრაზედ და იპყრობს ყოველსავე სიმარჯვესა და სიმშვენიერეს ადგილობრივ გამოთქმებისას.

7. სახალხო ნაწარმოები მხოლოდ უწინდელი კი არ არის, არამედ არის თანამედროვეც: ერის შემოქმედებითი ნიჭი დაუცხრომლათ მოქმედებს ყოველთვის. იგი მარად ჟამს ჰქმნის ახალ ახალ სახეებს და ჰხატავს მასში თვის მსოფლმხედველობას და გულისთქმას.

ხალხურიც და ხელოვნური ნაწარმოებიც ბევრია ყველა განვითარებული ერში. ყველა ამ ნაწარმოებთა შესწავლა შეუძლებელი არის, რადგან ძალიან ბევრი დრო სჭირდება ამას. უსარგებლოც არის ყველა ნაწარმოების შესწავლა, რადგან ბევრი არის მათში ისეთი, რომლებიც არც თვისი შინაარსით, არც თვისი ფორმით არ არიან საგულისხმიერონი: არიან ნაწარმოებნი კეთილქმნილნი, შემკულნი გარდუვალის თვისებებით როგორც შინაარსით ანუ იმ ჭეშმარიტებათა, გრძნობათა და მისწრაფებათა ღირებულობით, რომელნიც გამოთქმულნი არიან მათში, ისე გარეგანის მხრივ ანუ ფორმით; არიან ნაწარმოებნი მდაბალი ხარისხისა, მდარენი როგორც შინაარსით ისე ფორმით ანუ გარეგანი სახით. ნამდვილ სიტყვიერებას შეადგენენ მხოლოდ კეთილქმნილნი ნაწარმოებნი; ამისთვის აუცილებელია ნაწარმოებთა გადარჩევა და მაშასადამე, მათი შეთვისება, მათი სიკეთისა თუ სიდუხჭირის შეგნება. ამისათვის საჭირო არის რაიმე საზომი. ეს საზომი უნდა იყოს საზოგადო, მართალი და შეურყეველი. აი ესეთი საზომი ანუ კრიტერიუმი;

ადამიანის გონება დაუცხრომელად მიისწრაფის ჭეშმარიტებისაკენ; საბოლოო მიზანი გონების მისწრაფებისა არის ჭეშმარიტება სრული, და სამარადისო. ნაწარმოები რამდენადაც უფრო უახლოვდება ამ დაუჩრდილავ ნათელს ჭეშმარიტებისას, იმდენად ის სრულია, გარდუვალი და, მაშასადამე, პატივსადები, ადამიანის გული ეტრფის სიმშვენივრეს, საბოლოო მიზანი ადამიანის გულისაქმისა არის მშვენება სრული, სიდუხჭირისაგან მთლად სხნილი და გარდუვალი. ნაწარმოები რამდენადაც უფრო უახლოვდება და სწვდება ამ უებრო მშვენებას ღვთაებურს, იმდენად იგი სრულია, იდეალური და, მაშასადამე, პატივსადები. ადამიანის ნების ყოფა დაუცხრომელად მიისწრაფის კეთილისაკენ; საბოლოო მიზანი ნებისყოფის მისწრაფებისა არის სიკეთე სრული, კეთილი, სიბოროტისაგან მთლად თავისუფალი და გარდუვალი. ნაწარმოები რამდენადაც უფრო უახლოვდება და მისწვდება ამ უხანჯო კეთილს ღვთაებურს, იმდენად იგი სრულია, უკვდავი და, მაშასადამე, პატივსადები.

ამ სახით სიტყვიერება, ამ თქმის მჭიდრო მნიშვნელობით, ეწოდება ისეთ ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოებთ, რომელთაც ცხადად აღუყვიათ ხატება გარდუვალის ჭეშმარიტებისა, შეურყეველის კეთილისა და დაუჩრდილავ სიმშვენიერისა,—ამ სამ ძირითად იდეებისა, რომელნი შეუდრკომლად ისწრაფიან განხორციელდნენ ადამიანთა არსებაში და რომელნიც აწარმოებენ კაცობრიობის განვითარებას თუ შეუფერებელ წინსვლას. მხოლოდ ამ იდეათა მარჯვედ მხატველი ნაწარმოებნი არიან საგულისხმიერნო და მხოლოდ იგინი შეადგენენ ნამდვილ სიტყვიერების მასალას.

საყურადღებოა ის, რომ ადამიანის გონების ეს საუკეთესო ნაწარმოებნი არიან გამომხატველნი იმავე ძირითად მისწრაფებათა, რომელთადმი მიილტვის ყოველივე არსი ქვეყნიერებაში და თვით ქვეყნიერებაც მთლიანად: ყოველივე არსი თვის დაუცხრომელი მოძრაობაში და დაუსრულებელ ცვლილებებში ისწრაფის სავსებით განახორციელოს ჭეშმარიტება საუკუნო სიკეთე გარდუვალი და სიმშვენიერე დაუჩრდილავი. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანის სულში ეს ძირითადი მისწრაფებანი შეგნებულნი არიან ცნობიერებისა და თვით ცნობის ნათელით გაშუქებულნი, ხოლო ადამიანთა გარეშე იგი მისწრაფებანი მოკლებულნი არიან ცნობიერებას და შეუგნებელნი, გარნა ისევე უძლეველნი, შეუფერხებელნი და სამარადისონი.

მთელი სიტყვიერება განიყოფება ორ დიდ ნაწილად: პროზად და პოეზიად. იმ ნაწარმოებთ, რომელნიც მიმართულნი არიან ძიებად ან ჭეშმარიტებისა ან კეთილისა და რომელნიც, მაშასადამე, ეკუთვნიან უმთავრესად გონებისა და ნებისყოფის სამფლობელოს, ეწოდება პროზა; ხოლო იმ ნაწარმოებთ, რომელნიც მიმართულნი არიან ძიებად თუ ასახვად სიმშვენიერისა და რომელნიც, მაშასადამე, უმთავრესად ეკუთვნიან სამფლობელოს გულისა, გრძნობათა შესაკრებელისა, ეწოდება პოეზია. გარდა აქედან ის არ უნდა დაესკვნას, რომ პროზა არის ცხადყოფა სიტყვაში მხოლოდ ჭეშმარიტებისა და კეთილისა, ხოლო პოეზია არის ცხადყოფა მარტოოდენ სიმშვენიერისა: ჭეშმარიტება, კეთილი და მშვენიერება განუკვეთელად არიან ერთმანეთთან შეკავშირებულნი, რადგან იგინი არიან სხვა და სხვა სახეები ადამიანის ერთისა და იმავე სულისა. ამისათვის დაუჩრდილავ ჭეშმარიტებას მარად თან ახლავს სიკეთე და მშვენიერება, შეუმღვრეველი კეთილი განუყოფელია ჭეშმარიტებისაგან და მშვენებისაგან, ხოლო უებრო მშვენიერება თანაზიარია ჭეშმარიტებისა და კეთილისა. აქ მხოლოდ იმაში არის განსხვავება, ამ იდეათაგან რომელი სჭარბობს და პირველობს ნაწარმოებში, მშვენიერების ძიება, თუ ძიება ჭეშმარიტებისა ან კეთილისა.

თემები. 1. ჩასახვა და განვითარება ხალხური ნაწარმოებისა (თეორიული მსჯელობა და მაგალითით დასაბუთება მსჯელობისა).

2. კავშირი ხელოვნურ ნაწარმოებისა ხალხის ცხოვრებასთან.

ვ. ბარნოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

+ სახალხო სკოლის პროგრამა*)

III განყოფილება (მესამე წელიწადი)

ქართული ენა.

ზარკვევით, სწრაფად, შეგნებით და გამომეტყველებით კითხვა. წაკითხულის შინაარსის გადმოცემა თავისი სიტყვებით. საუკეთესო ლექსებისა და იგავ არაკების ზეპირად ცოდნა ყოველის მხრივ ახსნა-განმარტებისა და შინაარსის შეგვისების შემდეგ. სალიტერატურო ნაწარმოებიდან მხატვრული ადგილების ნათლად წარმოდგენა, შეგნება და დასურათება. აწერილობითისა და მოთხრობითი ხასიათის საკითხავ მასალების შესწავლა. წელიწადის დროთა აწერილობა და მათი დასურათება. სახალხო ნაწარმოების კითხვა და შეგნება. ადამიანი, როგორც წევრი საზოგადოებისა. თითოეული ადამიანის გავლენა სხვა ადამიანების ყოფა-ცხოვრებაზე. ადამიანის მოვალეობა და საქმიანობა საზოგადოებრივს ცხოვრებაში: მოვალეობის შესრულება, სიმართლე, ქველ-მოქმედება, თავგანწირვა, პატიოსნება, როგორც ძირითადი საფუძველი საზოგადოებრივის ცხოვრებისა. პრაქტიკული ვარჯიშობა სიტყვის ფორმების კანონიერად ხმარებაში; განსაკუთრებით ვარჯიშობა ისეთს ფორმებში, რომელიც მოსწავლეებმა არ იციან, ან უკანონოდ ხმარობენ. სიტყვების წარმოება, მნიშვნელობა,- აზრ გადატანით ხმარება. ვარჯიშობა სხვა და სხვა წიგნების კითხვაში.

წერითი საჯარჯიშო: წაკითხულ მასალის მოკლე შინაარსის წერა მიცემულ კითხვების მიხედვით. საგნებისა და სურათების უფრო ვრცლად აღწერა. საუბრების მოკლე შინაარსის წერა. იგავ-არაკების მოკლე შინაარსის წერა დასურათებით. მოკლე ამბების თავისუფლად წერა საკუთარის ცხოვრებიდან და მოგონებიდან. ნახულისა და გაგონილის ამბების მოკლედ აღწერა დასურათებით. პატარ-პატარა მოთხრობების წერა სურათების მიხედვით, დღიურების წერა.

(შენიშვნა: ქართულ ენის გაკვეთილებზე ამ განყოფილებაშიდან საჭირო შემთხვევებში უნდა გამოიყენონ ხატვა და ხელგარჯილობა. მოწაფეები ამზადებენ სხვა და სხვა ილუსტრაციებს, არჩევით დასურათებენ წაკითხულს, ამზადებენ სურათებისათვის კარდონის, ხისა და ფერადი ქაღალდების ჩარჩოებს, იკეთებენ თავისთვის უბის წიგნებს, ამოსჭრიან ჟურნალ-გაზეთებიდან სურათებს და ჩაწებებენ ალბომში, ამზადებენ წელიწადის დროთა ილუსტრაციებს და სხ.)

არითმეტიკა და პრაკტიკული გეომეტრია.

ზეპირი და წერითი ანგარიში 1—1000-მდის. ოთხი მოქმედება და ზეპირი ანგა-

*) იხილე 1919 წლის „განათლების“ № 1, რომელშიაც დაბეჭდილია I და II განყოფილების პროგრამები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიში 1000-ის ფარგალში. ზოგიერთი მოკლე ხერხი ზეპირ ანგარიშისა 1000-ის ფარგალში. რიცხვითი მაგალითები და სხვა და სხვა ტიპის ამოცანები ათასის ფარგალში. მარტივი ნაწევრები $^1/_2$, $^1/_3$, $^1/_4$, $^1/_5$, $^1/_6$, $^1/_7$, $^1/_8$, $^1/_9$, $^1/_{10}$. ოთხი მოქმედება ადვილს ნაწევრებზე და შერეულს რიცხვებზე. მთელში ნაწილის პოვნა და ნაწილებიდან მთლიანის შედგენა. მრიცხველობა და ოთხი მოქმედება 1000-ის-მდის. შეკრება და გამოკლება რიცხვებისა, გამრავლება და გაყოფა ერთ ნიშნოვან და ორ ნიშნოვან რიცხვებზე. შესაერთებელი რიცხვი და ჯამი. სამცირი მამცირი და ნაშთი. სამრავლი, მამრავლი და ნამრავლი. გასაყოფი, გამყოფი და ნაწილადი. თვალსაჩინოდ გაცნობა უსაჭიროეს ზომებისა და საწყაოსი: ზომა სიგრძისა, დროსი, ფულისა, სიმძიმისა, სითხისა, ქაღალდისა, და საწყაო მარცვლეულობისა. ამოცანები და რიცხვით მაგალითები ოთხს მოქმედებაზე დ უმარტივეს ნაწერებზე, მათი ახნა-განმარტება. მოწაფეების მიერ ამოცანების შედგენა.

პრაქტიკული გეომეტრია: ხაზვა რკალებისა და მათი დაყოფა. თვისება სვეტისა (პერპენდიკულრისა). კუთხეები. სამკუთხედები და კვადრატი. გეომეტრიული სხეულები: კუბი, ბურთი (шаръ) სწორკუთხიანი პრიზმა, ცილინდრი, პირამიდა, კონუსი. მათი დამზადება მოწაფეების მიერ და გაცნობა. სწორკუთხიანის, კვადრატისა და პარალელ-გრამის ზედაპირის გაზომვა. ცოდნის პრაკტიკულად გამოყენება.

შენიშვნა მოწაფეებმა უნდა გააკეთონ სასწორის ქვები, სხვა და სხვა წონისა, არშინი, საჟენი; სხვა და სხვა საწყოებისა, ზომებისა, და გეომეტრიულ სხეულების ნიმუშები; ხაზვა-ხატვასთან ერთად უნდა იცოდნენ ამოჭრა და ქაღალდზე დაწებება სხვა და სხვა გეომეტრიული ნაკვეთებისა.

ბუნების მეტყველება.

ედამიწა. ზენიადაგი, ნიადაგი. ზენიადაგის შემადგენელი ნაწილები. ქვიშა, თიხა, შავი მიწა. ქვანახშირი. ნავთი. შავი ქვა (მარგანეცი). სხვა და სხვა ლიოონები: რკინა, სპილენძი, ოქრო და ვერცხლი. მინის, აგურის კრამიტისა და თიხის ჭურჭლების კეთება.

წყალი: წყალის სამი მდგომარეობა; სითბოსი და სიცივის გავლენა წყალზე. თერომეტრი. წყალში სხეულების განზავება. თოვლის დადნობა, ორთქლი, ზღვა და ოკეანე. მლაშე წყლები. ზღვიდან მარილისა ღა ღრუბლის გამოტანა. მარილი ბუნებაში ბუნების მოვლენანი: ნამი, რთვილი, წვიმა, სეტყვა, თოვლი და ცისარტყელა. წყალის მოქმედება ხმელეთზე, ქვების დაშლა ზენიადაგის შედგენა. თბილი წყალის შედგენილობა. წყალმბადის გამოყოფა წყალიდან კალციუმის საშუალებით; წყალმბადი შემადგენელი ნაწილია ორგანიული ნივთიერებისა. თბილი წყლები, მადნეულის წყლები. ადამიანის მიერ ბუნების ძალების თანდათან დამორჩილება; ახალი აღმოჩენანი და მოგონებანი, როგორც შედეგნი მდამიანის ცდისა და დაკვირვებისა.

მცენარეები: ადგილობრივი საპურე და ბოსტნეული მცენარეულობა, არჩევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემზადება ზენიადგისა მცენარის მოსაყვანად. მცენარის ძირი, ღერო და ფოთლები, მათი დანიშნულება, ნაყოფი, თესლი.

ცხოველები: მათი სხეულის აგებულება ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებით—საჭმლის მოპოება, თავის დაცვა, ერთად ცხოვრება, დედობრივი სიყვარული ცხოველთა შორის, შვილების მოვლა და აღრზდა; ცხოვრების პირობებთან შეგუება. 2-3 კერძო წარმომადგენელი რძით მკვებავებისა, ფრინველებისა, ქვეწარმავალთა, თევზებისა და მწერებისა.

ჰაერი. ჰაერს ადგილი უჭირავს. ჰაერის შეკუმშვა, მოქნილობა. სიმძიმე და დაწოლა. ჰაერის ტუმბოს მომართულობა. ცივი და თბილი ჰაერი. ჰაერის საჭიროება წვის დროს. ჰაერის მუშაობა ანთებულ ლამპისა და ბუხრის მილში. ჰაერის ნაწილები მჟავებადი და აზოტი. ჰაერში, ფრენა (ჰაეროპლანები).

შენიშვნა ბუნების მეტუფველების სწავლების დროსაც საკმაო ყურადღება უნდა მიექცეს ხელგარჯილობას, ხატვას, ცდა-დაკვირვებას, სხვა და სხვა საჭირო მასალების დაგროვებას, ადგილობრივი მცენარეთა კოლექციების დამზადებას, თესლის აღმოცენებას სხვა და სხვა პირობებში და უმარტივესი ფიზიკური იარაღების ნიმუშების დამზადებასაც.

სამშობლოს შესწავლა და გეოგრაფია.

საკლასო ოთახი, სკოლა და სკოლის ეზო. პლანი, მასშტაბი და ქარტა. აწერილობა თავის სოფლისა, მაზრისა და მახლობელ ქალაქისა. მოკლედ შესწავლა იმ გუბერნიისა, სადაც სკოლა არსებობს. საქართველოს მდინარეები, მთები ქალაქები. საქართველოს საზღვრების და ნაწილების გაცნობა მოკლედ. ბუნებრივი სიმდიდრე, მცხოვრებლები და მათი მუშაობა, ხელობა. ისტორიული ცნობები იმ სიძველეთა შესახებ, რომელნიც მოიპოვებიან იმ მაზრაში, სადაც სასწავლებელი არსებობს. ექსკურსიები მახლობელ შესანიშნავ ადგილების დასათვალიერებლათ და გასაცნობად.

ქვეყნის მხარეები. ბარი. ზომიერი ჰავის ქვეყნის ვაკე ადგილები, ბუნება, მცენარე, ცხოველები და ადამიანთა ცხოვრება. მთიანი ქვეყანა. ბუნება მთის ძირში, ფერდოებზე და მთის მწვერვალზე, მცენარეთა განაწილება. ადამიანის ცხოვრება მთებში. მთიელები. ცეცხლის მფრქვეველი მთები (სანძრები), მიწის ძრვა. დედამიწის მოყვანილობა. დაყოფა დედამიწისა ხმელეთად და კუნძულებად. ქვეყნის ნაწილები.

ცხელი ჰავის ქვეყნები. ცხელი ქვეყნის ბუნება, მცენარე და ცხოველები. ადამიანის ცხოვრება ცხელ ქვეყნებში. უდაბნო, ოაზისი.

ცივი ქვეყნები. ბუნება, მცენარეები და ცხოველები. ადამიანის ცხოვრება ცივ ქვეყნებში.

ისტორიული სურათები პირველყოფილ ადამიანის ცხოვრებიდან.

შენიშვნა: სამშობლოს და გეოგრაფიის შესწავლის დროსაც აუცილებლად საჭიროა ხატვა-ხაზვა, ძერწა და სხვა და სხვა გვარი ხელგარჯილობა ქარტების ხატვა-ხაზვასთან ერთად მოწა-

ფეებმა უნდა შეძერწონ ხმელეთის ფორმა, კუნძული, ნახევარი კუნძული, ზეგანი, პატარა ქარტები, სამაგალითო ლანშაფტი და მისი ქარტა, ქალაქიდან გამოჭრილი თოვლიანი მთები, საუნულე, ჩანჩქერი, ქარტის ამოჭრა სხვა და სხვა მასშტაბით. ზომიერი, ტივი და ცხელი ქვეყნების საქონლის სხვა და სხვა კოლექციები, საეთნოგრაფიო სათამაშოების კოლექციები, თიხის გლობუსი და სხ.

IV განყოფილება (მეოთხე წელიწადი)

III ალ. ქართული ენა.

კითხვა უფრო ვრცელი სიტყვა კაზმულ ნაწარმოებისა დაწვრილები გარჩევით. კითხვა ქრესტომატიაში ნაწყვეტებისა საუკეთესო მწერალთა თხზულებებიდან; ზეპირად ცოდნა შესანიშნავის ლექსებისა და იგავ-არაკებისა საჭირო ახსნა-განმარტებით. გამომეტყველებით კითხვა შესწავლილ მასალებისა. კითხვა და შესწავლა ისეთის მასალებისა, რომელიც უჩვენებს ადამიანს სიკეთისა და ბედნიერების გზას და გვიხატავს ადამიანის ცხოვრებაში გაცოცხლებული სულის უმაღლეს მოთხოვნილებას: სიკეთეს და სამართლიანობას, როგორც ბედნიერების ფუძესპირადსა და საზოგადოებრივს ცხოვრებაში. ცოცხლად დასურათება ლიტერატურულ-მხატვრულ ადგილებისა წაკითხულ მასალებში. ვარჯიშობა გარეშე წიგნების კითხვაში. კოლექტიური და ჯგუფობრივი კითხვა; დალაგებით გადმოცემა წაკითხულ მასალების შინაარსისა. წაკითხულ მხატვრულ ნაწარმოებისა და სამეცნიერო შინაარსის მასალების გეგმის შედგენა და მოქმედ პირთა მოკლე დახასიათება. საქართველოს გამოჩენილ ძველ და ახალ მწერალთა მოკლე ბიოგრაფიები და მოკლე ცნობები უცხო ქვეყნების შესანიშნავ პირთა შესახებ. ადამიანისა და მოქალაქის უფლება და მოვალეობანი თავისუფალ სახელმწიფოში.

წერითი საშარჯიშოები: წერით გადმოცემა ნასწავლ მოთხრობათა მოკლე შინაარსისა; წერითი პასუხი მიცემულის გეგმაზე. პატარ-პატარა აწერილობა შინაურის ცხოვრებისა, ბუნებისა, წელიწადის დროთა; შინ წაკითხულის მოკლე შინაარსის წერა; დღიურების წერა. ბუნების მეტყველებიდან ცოცხალ საუბრების მოკლე შინაარსის წერა; ექსკურსიების აწერილობა; პატარ-პატარა მოთხრობების შედგენა სურათებისა და ანდაზების მიხედვით. თხზულებანი ადვილს ტემებზე. ავტობიოგრაფია. საქმიანი წერილების შედგენა, ილუსტრაციები, ჟურნალის გამოცემა მოწაფეების ნაწარმოებით და სურათებით.

საგრამატიკო ვარჯიშება: რთული სიტყვები, მათი წარმოშობა მნიშვნელობა და სხვაობა. ზედსართავი სახელის მნიშვნელობა და მისი არსებით სახელთან ჩაქსოვა. ზმნების მნიშვნელობა და მისი ფორმების შეცვლა. სიტყვების ბრუნვება წინადადებაში. საცვლელი და უცვლელი სიტყვის ნაწილები. გამოცნობა, თუ რომელ სიტყვის ნაწილს ეკუთვნის ესა თუ ის სიტყვა და რად? წინადადების უმთავრესი ნაწილები. კითხვების დასმა წინადადების მეორე ხარისხოვან ნაწილებისათვის. რთულ წინადადებაში გარჩევა მთა-

5. ვაფი = ბერძენ, ალ ნაწილ ნაბოლ, ენუგეშ ყოფილ ლ. ბერ

ვარისა და დამოკიდებელ წინადადებათა. კითხვების დასმა დამოკიდებულ წინადადებისათვის. სასვენი ნიშნები რთულს წინადადებაში.

შენიშვნა ჩვენი სასკოლო გრამატიკა მეტის მეტად არეულია და ხელოვნური, ამიტომ გრამატიკის სწავლებას სახალხო სკოლებში ბევრი სამართლიანად უარეოფენ. სკოლამ ბავშვის ნორჩსა და სუსტს გონებაში ერთად უნდა შეადუღოს ცოდნა და ცხოვრება, რომ მოწაფეს სკოლიდან გასვლის შემდეგ უკუსაგდები არ ჭქონდეს რა, რაც სკოლაში მიუღია გრამატიკაში კი ბევრი ისეთი რამ არის, რომლის შესწავლაზე ბევრი დრო იხარჯება და ცხოვრებაში გამოუსადეგარი რჩება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ენის თეორიების პრაქტიკულად შესწავლას დასაწყის სკოლებშიც არ მიექცეს სათანადო ყურადღება. პირიქით, სწორმეტყველების შესწავლა მთავარი დანიშნულებაა სკოლისა, მხოლოდ სხვა და სხვა გრამატიკული განსაზღვრა: რა არის კანკელეობა, უღვლილება, ქვემდებარე, შემასმენელი სხვა, რითაც სავსეა სასკოლო გრამატიკა, მიზანს არ შეეფერება და არც სახარგებლოა, პირიქით მავნებელიც არის, რადგანაც მათს შესწავლაზე ბევრი დრო უნაყოფოდ იხარჯება.

ენის თეორიების შინაარსთან დამოკიდებულება, აზრთა სხვა და სხვაობა, შეთვისება და შეერთება ცალკე სიტყვებისა და თარაზებისა, სხვა და სხვა წესები აზრთა გამოხატვისა აი რა შეადგენს საზრუნავ საგანს ენის პრაქტიკულად შესწავლაში მოწაფემ უნდა იცოდეს რისთვის არის ჩართული ესა თუ ის სიტყვა წინადადებაში, რასა ჭსნის, რომელ სიტყვას ეფარდება ჩამატებული ახალი წინადადება; მოწაფეებმა ისწავლონ ზმნებში დროთა შესაფერად ხმარება, წესიერად ხმარება სიტყვებისა რომ წინადადების აზრი არ შეიცვალოს; ისწავლონ ერთისა და იმავე აზრის მოკლედ და ვრცლად გამოთქმა. რასაკვირველია ყველა ეს ცოტახალ მაგალითებზე უნდა სწარმოებდეს და არა განუყენებულ წესებზე. როგორც დამხმარე საშუალებას ნურც ადვილ ტერმინებს მოერიდება მასწავლებელი, თუ კი იგი ხელს უწყობს მოკლეთ ახსნა განმარტებას.

ასეთს პირობებში ენის შესწავლა თვისი რეალობითა და მიზნებით მოწაფეთათვის ნაყოფიერიც იქნება, სასარგებლოც და მისაწვდენიც.

არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია

ამოცანები და რიცხვითი მაგალითები ოთხი მოქმედების ყოველ სიდიდის განყენებულს რიცხვებზე; რთული სახელწოდებული რიცხვები; ცოდნა ყოველ საჭირო ზომებისა და საწყაოებისა, დაშლა და გადაქცევა სახელწოდებულ რიცხვებისა; ოთხი მოქმედება რთულს სახელწოდებულს რიცხვებზე (არა უმეტეს 2-3 სახელწოდებულ რიცხვისა) ამოცანები და რიცხვითი მაგალითები რთულს სახელწოდებულს რიცხვებზე. ამოცანები პროცენტებზე და დროს გამოანგარიშებაზე; კვადრატული და კუბიკური ზომები; გაფართოება ცნობებისა მარტივს ნაწევრებზე. ჩაწერა ათე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულ ასეულ ნაწევრებისა. ოთხი მოქმედება და პრაკტიკული ამოცანები ნაწევრებზე; გაცნობა მეტრისა, სანტიმეტრისა და კილომეტრისა. მოკლე ცნობები ბუჰგალტერიისა და ანგარიშების წარმოებისა პრაქტიკულად.

პრაქტიკული გეომეტრია: კუთხეების გაზომვა, პარალელი ხაზები და მათი თვისება; სამკუთხედების, კვადრატისა და სხვა და სხვა ოთხკუთხედების ასპარეზის გაზომვა; გეომეტრიული სხეულების ზედაპირისა და მოცულობის გაზომვა; ასპარეზის ნაწილებად დაყოფა: ძირითადი დასაწყისი ცნობები გამიჯვნისა და გეგმის შედგენისა.

შენიშვნა; ყველა საკარჯიშო შესაფერ ხაზვისა და პრაქტიკულ ამოცანებთან უნდა იყვეს დაკავშირებული; მთელი კურსი და ყველა ამოცანები როგორც არითმეტიკისა, ისე გეომეტრიისა, უსათუოდ პრაქტიკულ ცხოვრებიდან უნდა გამოიდინარეობდეს და ცხოვრების მოთხოვნილებას უნდა შეესაბამებოდეს. ხელგაკერჯილობას აქაც საკმაო ადგილი უნდა დაეთმოს.

ბუნების მეტყველება.

ბუნება და ადამიანის შრომა. ხე როგორ საზრდოობს და იზრდება; ძირი, ღერო ანუ ტანი, ფოთოლი, ტოტები, ყლორტი, კოკორი, ქერქი, აფსკა, ცილა, მერქანი, გული და მათი დანიშნულება; თესლი და მისი აღმოცენება. ადგილობრივი კულტურული მცენარეები; ცივი და ცხელი ქვეყნის მცენარეები, რაც წინად არ უსწავლიათ; საზოგადო მნიშვნელობა მცენარეებისა, დამოკიდებულება მცენარეთა და ცხოველთა შორის; მცენარეთა საზრდოობა ცხოველთა საზრდოობასთან შედარებით. მსგავსება და განსხვავება ცხოველთა და მცენარეთა შორის. უყვავილო მცენარეები: ჩადუნა (გვიმბრა), ხავსი, სოკოები, შვიტა (хвощъ). სიდამპლისა და სნეულების გამჩენი ბაქტერიები და მათთან ბრძოლა.

ადამიანის სხეულის აგებულება. უსაჭირესი ორგანოები და მათი დანიშნულება; კანი, მუსკულები (კუნთები), ჩონჩხი, სისხლი და მისი ტრიალი სხეულში; სისხლის მიმომქცევი ორგანოები და გული; სუნთქვა; ფილტვები; საჭმლის მომნელებელი ორგანოები: ნერწყვის ჯირკვლები, საჭმლის საყლაპავი მილი, კუჭი, ღვიძლი, ნაწლავები, გრძნობის ორგანოები. ნერვები, ტვინი. უმთავრესი ჰიგიენიური პირობები ჯანმრთელობისათვის. ჰიგიენიური საუბარი ჰაერზე და წყალზე.

სითბო: როგორ გადადის სითბო ერთი საგნიდგან მეორეში; როგორ იცვლება საგნები სითბოს გავლენით; როგორ და რით ზომავენ სითბოს.

სინათლე: გამჭვირვალე და არა გამჭვირვალე სხეულები; სინათლის გადატეხა; სინათლის ფერებად დაჰყოფა. მაგნეტიზმი; ელექტრონობა, ელექტრონობის გამტარებელი და არაგამტარებელი სხეული; მოკლე ცნობები ფიზიკიდან და ქიმიიდან, როგორც დამატება და შევსება წინად ნასწავლისა ჰაერის, წყლისა და დედამიწის შესახებ; ფიზიკური და ქიმიური მოვლენანი, შერევა და ქიმიური შეერთებანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთული და მარტივი სხეულები; წვა (ნახშირმჟავა გაზი).

სითხე- გაერთიანებული ჭურჭლები, სითხის დაწოლა; სხეულის მიერ წყალში წონის დაკარგვა;

სიმძიმე—მარტივი მანქანები, ბერკეტი და ჭაღი (блокъ).

ბგერა—ბგერის გადაცემა ჰაერით, წყლით და მაგარი სხეულით, ბგერის სიმაღლე.

შენიშვნა: თვალსაჩინოება, ცდა, დაკვირვება, თვითმოქმედება, უპირველესი საშუალებაა ბუნების მეტყველების ეოველი დარგის შესასწავლად. მოწაფეები აკეთებენ ადამიანის სხეულის სხვა და სხვა ორგანოების ნიმუშებს არსებული სურათებისა და თვალსაჩინო ხელსაწყო კოლექტიების მიხედვით; აგრეთვე ძერწავენ სხვა და სხვა ცხოველების კბილების ნიმუშებს, აკეთებენ საფიზიკო და საქიმიო სხვა და სხვა იარაღებს და სხ.

სამშობლოს შესწავლა და გეოგრაფია.

დაწვრილებითი შესწავლა თავის სოფლისა, მაზრისა და გუბერნიისა (უსათუოდ ქარტაზე).

აღმოსავლეთის, დასავლეთის და სამხრეთის საქართველო, მათი უმთავრესი ნაწილების შესწავლა ჰავის, მდებარეობის, ეკონომიურისა და ბუნებრივი სიმდიდრის მხრით; მცხოვრებთა საქმიანობა, მეურნეობა, აღებ-მიცემობა, ვაჭრობა, მრეწველობა; ადგილობრივი შინაური ნაწარმოები.

მეზობელ სახელმწიფოების მოკლედ შესწავლა.

გეოგრაფია მათემატიკური და ფიზიკური: ქვეყნის მხარეები და მათი განსაზღვრა. გლობუსი. დედამიწის ტრიალი ღერძის გარშემო. დღე და ღამე. მზე მთვარე და სხვა ციური სხეულები. წლიური ტრიალი დედამიწისა მზის გარშემო და წელიწადის დრონი. ქვეყნისა და ოკეანეს ნაწილები. საქართველოს მთები. ჰავა: ხმელი და ნესტიანი. მცენარეთა დამოკიდებულება ჰავაზედ. ზომიერი, ცივი და ცხელი ჰავის ქვეყნები. ხალხი, სარწმუნოება, სახელმწიფო. მოკლე ცნობები ქვეყნის ნაწილებისა და მთავარ სახელმწიფოებისა ქარტაზე ჩვენებით და მთავარი ქალაქების დასახელებით.

შენიშვნა მოწაფეებმა უნდა იცოდნენ საქართველოს გეოგრაფიული სრული ქარტის ხაზვა, აგრეთვე კერძოდ ტოპიური ადგილებისაც; ამასთან უნდა შეეძლოთ ქარხნებისა და ფაბრიკების სხვა და სხვა ნაწარმოებთა ნიმუშების დამზადება, ქუჩის, ბიბლიოთეკის, სახელოსნოების, სოფლელთა მუშაობის და საქონლის ბინისსურათებით, ნიმუშებით და კოლექტიებით გამოხატვა და სხ.

V საქართველოს ისტორია.

მოკლედ გამეორება ცნობების პირველყოფილ ადამინის ცხოვრების შესახებ. მეცნიერების აზრი ქართველთა მოდგმის ხალხზე და მათს პირველ სამშობლოზე. ქართველების დასახლება ახლანდელს არემარეზე ძველის ძველ დროს. ქართველების საზოგადოებრივი ცხოვრება, სარწმუნოება და ცხოვრების სახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრები ძველად. ალექსანდრე მაკედონელის მიერ საქართველოს დაპყრობა და აზოს გამეფება, ფარნაოზ მეფე. საქართველოს გაქრისტიანება და წმ. ნინო. ბრძოლა ცეცხლის თაყვანისმცემლობისა და ქრისტიანობის შორის. მეფე ვახტანგ გორგასლანის დრო და ქრისტიანობის დამყრება. არაბების გაძლიერება და საქართველოს დაპყრობა მათგან. დავით და კონსტანტინე არგვეთის მთავარნი. დავით კურაპალატისა და ბაგრატ მესამის დრო. ბაგრატ მეოთხის ბრძოლა შინაურ და გარეულ მტრებთან. ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები. თურქების შემოსევა საქართველოში და გიორგი მეფე. დავით აღმაშენებელი და მისი დრო. მეფე გიორგი მესამე და მისი დრო. თამარ მეფე, მონგოლების შემოსევა და მათ მიერ საქართველოს დაპყრობა. ცოტნე დადიანი. მეფე დიმიტრი თავდადებული. გიორგი ბრწყინვალე. თემურლენგის შემოსევა და ბაგრატ დიდი. ალექსანდრე მეფე. საქართველოს დანაწილება სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ. ვახტანგ მეექვსე. იმერეთის მეფე სოლომონ დიდი. ერეკლე მეფე და მისი დრო გიორგი მეცამეტე და საქართველოს რუსეთთან შეერთება. საქართველო მე XIX საუკუნეში. საქართველოს რუსეთიდან ჩამოშორება და საკუთარი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება.

შენიშვნა: ისტორიის სწავლების დროს სახალხო სკოლაში უმთავრესები ყურადღება უნდა მიექცეს თვითონ ხალხის და არა მხოლოდ კერძო პირების ცხოვრების შესწავლას. წვრილმანი ამბები და ქრონოლოგიის ცოდნა ბავშვებს მეხსიერებას მძიმე ტვირთად აწვება, მას უნდა მოეთხოვოს თავდაპირველად მხოლოდ მწყობრად და დალაგებით მოთხრობა ისეთის ამბებისა, რომელთაც ესა თუ ის მნიშვნელობა ჰქონდა ერის ცხოვრებაში და დამახასიათებელია ამა თუ იმ ეპოქისა. ბავშვისთვის რომ აზრიანი შეიქმნეს ისტორიის შესწავლა, შეძლებისდაგვარად უნდა განუმარტონ ამა თუ იმ მიზეზს რა შედეგი მოჰყოლია ერის ცხოვრებაში. საჭიროა აგრეთვე საკითხავად შესაფერი საისტორიო წიგნების მიწოდებაც.

ხელგარჯილობა.

1 განყოფილება.

ზონარი და სხვა და სხვა კვანძები; ჭილოფის, ბადეებისა და პატარა პარკების ქსოვა და თოკის გრეხა. გამოთლა ჩხირებიდან ნახევარ აშინისა და დაყოფა; ვერშოკებად; დამზადება სამი შეკვრა ჩხირისა (ათ-ათი თითო შეკვრაში) ქერქიანად 1, 2, 3, ვერშოკის სიგრძისა. დამზადება ასეთისავე სამი კონისა უქერქოდ. ტირიფის ნედლი წკეპლებისგან 5 რგოლის დამზადება, 1 ან 2 ვერშოკის სიგანით და დაჭრა ნახევარ რგოლებად გახმობის შემდეგ.

შენიშვნა ყველა ამ დამზადებული ნივთებს გამოიყენებენ არითმეტიკის, ანბანის და სხვა და სხვა გეომეტრიული ფიგურების შესწავლის დროს. ყველა ეს საგარჯიშოები აგრეთვე უნდა დაიხატოს ფერადის ყარანდაშებით.

ვარჯიშობა ქაღალდზე. ქაღალდის სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სხვა ნივთები, როგორ ამზადებენ ქაღალდს. ქაღალდის სხვა და სხვა დანიშნულება; ქაღალდის ფერი. პატარა ხალიჩების ქსოვა, ქაღალდის კოლოფები და ფარნები; მთელი თაბახ ქაღალდის ორად და ოთხად გადაკეცვა და გამოჭრა; გამოჭრა კონტურებზე სხვა და სხვა საგნებისა (ხილი, მწვანილი, სოკოები, ყვავილები); მაკრატლით ამოჭრა ქაღალდის ან კარდონისაგან შინაურის და სხვა ცხოველების ნიმუშებისა. მეხსიერებით ამოჭრა საშინაო საგნებისა და მათი დახატვა კალმით ან ფერადის ყარანდაშებით. ამოჭრა ფერადის ქაღალდებიდან კვადრატისა, სწორკუთხიანებისა, წრისა, ფოთლებისა, ყვავილებისა და ხილის ნიმუშებისა; შედგენა მათგან სხვა და სხვა არშიებისა და მოართულობისა; დაწებება უკანასკნელისა რუხვ სქელ ქაღალდზე. ძერწა ბურთის, ნახევარ ბურთის, კუბის, პარალელოპიპედის, ცილინდრის, პირამიდისა და სხვა ამგვარ საგნებისა. ცალკე საგნების ძერწა მეხსერებით და საკუთარის არჩევით.

II განყოფილება

სხვა და სხვა ნივთები ჩალის, ტირიფის (მანეულის), ლერწამისა და კარდონისა. ჩალის პატარა ხალიჩები და კალათები, სინები, თეფშები, ნაშალაშინევის და წკეპლის კალათები ყვავილებისათვის. კალენდარი კარდონისა, ჩანთა კარდონისა რვეულებისათვის.

გაცნობა სახაზავისა, სამკუთხედისა და ფარგლისა და მათი ხმარება. დახაზვა და ამოჭრა სწორკუთხიანისა ლურჯ ქაღალდისაგან, მოლუნვა ღერძის ხაზზე. გაცნობა სწორი ხაზისა და სწორი კუთხეებისა. მათი მოძებნა გარშემო მოწყობილობაში. დახაზვა ყვითელ ქაღალდზე და ამოჭრა. განსაზღვრული ზომის სწორკუთხედისა, მისი გადაკეცა დახრილ ხაზზე, დახრილ ხაზების გაცნობა და ცნება კუთხეებისა, სწორკუთხეზე უდიდესი და ნაკლები კუთხეები. ქართული დროშა, ქაღალდის პარკებისა და კონვერტების გამოჭრა-დამზადება.

დახაზვა და გამოჭრა მწვანე ქაღალდისაგან განსაზღვრული ზომის კვადრატისა; კვადრატი და მისი თვისებანი; განმარტება მწვანე ფერისა (ლურჯი + ყვითელი); კვადრატის ამოჭრა, რომლის გვერდები შეადგენს ოთხ გოჯს, მისი შუაზე და ოთხად გადაკეცა გვერდების გასწვრივ; დათვლა რამდენ კვადრატულ გოჯს შეიცავს იმ კვადრატის ზედაპირი; მოკლე ცნობობები კვადრატულ ზომებზე და მათი ხმარება. იმავე კვადრატიდან ამოჭრა კუთხის კვადრატებისა და გამოცნობა რამდენ კვადრატულ გოჯს შეიცავს ამოჭრილი ჯვარი; ამოჭრა იმავე კვადრატიდან ოთხი შუა კვადრატისა და მიღებულ ჩარჩოს ზედაპირის გამოანგარიშება, რვეულების შეკერვა $^1/_4$ და $^1/_8$ თაბახის ზომით და კანით, შემოჭრა და ზემოდან იარლიყის დაწებება.

დახაზვა და ამოჭრა 6 — 8 კუთხედისა, გამოჭრა ფერად ქაღალდებისგან სვეტებისა და ვარსკლავებისა; სხვა და სხვა სამკაულები და ფერადი არშიები.

III განყოფილება.

გაცნობა ხეების ჯიშისა, რაც სადურგლოში იხმარება. პატარა პალოები მცენარისათვის, ფოცხის კბილები, კალმის

ტარი, სახაზავი, კოჭები ძაფისა და ზონრის დასახვევად, ხის ჩაქუჩი, ჩაქუჩის ტარი, ჩოგანი, სუთი, კლიტის ჩამოსაკიდი კაკვი, ხის კოვზი, ბზრიალა, ჩილიკა ჯოხი, პატარა ჯოხი, კარაქის სადღვებელი; ნიჩაბი, ტანისამოსის დასაკიდი. ყუთები და სხვა.

გაცნობა მასშტაბისა, კლასის პლანი და მოხაზულობა განსაზღვრული მასშტაბით. მოხაზვა სახლის წინა და უკანა გვერდებისა; მოხაზვა კუბისა და პარალელოპიპედის მხარეებისა; პრაქტიკულად გამოანგარიშება გვერდების ზედაპირისა და მოცულობისა. სურათებისა და კედლის კალენდრების არშიები. კარდონის კოლოფები სახურავით და უსახურაოდ.

IV განყოფილება.

ცულისა და თოხის ტარი, ხის ნიჩაბი, ფოცხი, ჯინი ნაგვისა, ან ქვიშის გადასახიდი. კარდონისა და ხის ჩარჩოები, დასაკიდი შკაფი, პატარა სკამი და მაგიდა, საბაზრო კალათები, თაროები წიგნებისათვის, სხვა და სხვა ყუთები; წიგნების აკინძვა და ყდაში ჩასმა, ეჩვევიან აგრეთვე საგნების შეღებვასა და ლაქის წასმას.

შენიშვნა: ეს აღნიშნული გეგმა ხელგარჯილობისა არ შეიძლება ჩავთვალოთ, როგორც სისტიკად დამუარებული პროგრამა; იგი, ჩვენის აზრით, შეძლების დაგვარად მმოძრავი უნდა იყოს, რომ მასწავლებელს და მოწაფეებსაც გზა და გზა შეეძლოსთ შეტანა სხვა და სხვა ფერობისა და ახალი რისმე, რასაც აღგილობრივი ცხოვრება უკარნახებს. ხოლო საერთოდ ხელგარჯილობის გამოყენება სხვა და სხვა საგნების სწავლების დროს ეული ლებელი მოთხოვნილებაა აწინდელის ჟამის გოგიკისა, ურომლისოდ სკოლა მოკლებული იქნება მოწაფის სათანადოდ გონებრივად და ზნეობრივად აღზრდას.

გალობა-სიმღერა

I განყოფილება.

ადგილობრივი საბავშვო სიმღერები. ვარჯიშობა სმენისა და ხმის გასავითარებლად. სასიმღერო ლექსები სახელმძღვანელო წიგნიდან, მაგ., „ბიპო ვისი ხარ მალხაზი“, „ორმოში ფეტვი ჩავყარე“, „სიმღერა კალოზე“, „იზარდე მწვანე ჯეჯილო“, „ყანაო ქვეყნის სამოთხევ“ და სხვ.

II განყოფილება.

ადგილობრივი სახალხო სიმღერები. სიმღერები ორ ხმაზე. სასიმღერო ლექსები სახელმძღვანელო წიგნიდან არჩევით, მაგ. „მახეში გაბმული ჩიტი“, „მოხუცის ნატვრა“, „სწავლობს გიგლა ტიტინა“, „ჩიტის სიმღერა“, „გაშვებული ჩიტი“ და სხვა.

III განყოფილება.

საზოგადო ქართული სიმღერები ორსა და სამს ხმაზედ. გაცნობა ნოტების ანბანის.

IV განყოფილება.

საზოგადო ქართული სიმღერები, შესწავლა ნოტების ინტერვალებისა, სოლფეჯიო, სიმღერა ორ-სამ ხმაზე, მომღერალთა გუნდის შედგენა.

ხატვა-ხაზვა

I განყოფილება.

თავისი აზრით და სურვილით დახატვა (რაც უნახავთ, რაც ესიამოვნებათ და რის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხატვაც უფრო კარგათ იციან). 2) მარტივი ფორმის საგნების დახატვა გონების თვალით და მათი ფერები. 3) ბუნებიდან გადაღება მარტივი ფორმის საგნებისა (ბურთი, აგური, მსხალი და სხ.). 4) მოძრაობა, ხაზების მიმართულება, ორივე ხელით ხატვა. 5) საამხანაგო ხატვა (კოლექტიური) ნახულ-გაგონილისა (საკლასო დაფაზე ერთი ან ორი ხატავს ნახულს და გაგონილს, დანარჩენები რჩევას აძლევენ, ან უმატებენ ახალს ფიგურებს). 6)საკლასო დაფაზე ხატვა და იქიდან გადახატვა. 7)კლასში ნასწავლის მოთხრობების ან იგავ არაკების დასურათება ან სურათიდან გადაღება. 8) აჩრდილების (სილუეტების) დახატვა მელნით ან ტუშით, ფართოთ, უკონტუროდ.

II განყოფილება.

1) თავისი აზრით რისიმე დახატვა. 2) ბუნებიდან გადაღება 3) კოლექტიური მუშაობა, ხატვა (ნახულის და გაგონილისა). 4) კლასში ნასწავლის გაკვეთილის დასურათება (რა მომენტიც უნდა, მოწაფე თვით ირჩევს). 5) რებუსები (მათი კითხვა და შედგენა). 6) ბუნების მოვლენათა დასურათება (წვიმა, თოვლი, ცეცხლი), ან პატარა ცნობილი ჟანრები. 7) უსაჭიროესი გეომეტრიული ფიგურები.

III განყოფილება.

1) კოლექტიური კომპოზიცია დასურათებისა (საკლასო დაფაზე ერთი ან ორი ერთს სურათს იგონებს, დანარჩენები თავიანთ ადგილიდგან მონაწილეობას იღებენ, მერე ხატვენ). 2) ბუნებიდან გადაღება. 3) თავისი აზრით სურათის დახატვა. 4) დასურათება ნასწავლის მოთხრობისა. 5) სოფლის და ქალაქის მუშაობის დასურათება. (კალო, გუთანი, მკა, ოთველი და სხ. 6) ასო მთავრული მონოგრამები; ახსნა მათი და შედგენა სხვა და სხვა საგნისაგან. 7) გეომეტრიული ფიგურების გამოყენება. პერსპექტივის კანონები. 8) არშიების შედგენა ჩუქურთმის მაგვარი, კედლის არშია და სხვა (ფოთლების და სხვა საგნისაგან.) 9) ბუნების დაკვირვება კლასს გარედ. სხვა და სხვა ფერები. 10) ნიმუშები შეძერწისა. თიხის მომზადება და მუშაობა.

IV განყოფილება.

1) ბუნებიდან გადაღება, 2) დაჩითვა და არშიების შედგენა, (კედლისა, ეკლესიისა და სხვა); ნიმუშები ქართული ჩუქრთმისა. 3) შეძერწა ხილისა და ცხოველებისა. 4) პერსპექტივი ხაზოვანი და ჰაეროვანი. 5) ბაასი ხელოვნებაზე, ქართული მხატვრობა და ხუროთ მოძღვრება. ნიმუშები და ნაშთები ქართული ხელოვნებისა. 6) დაკვირვება ბუნებისა და მათი გადაღება (გარეთ). 7) შედარება ადამიანის აგებულობისა და ცხოველებისა, 8) თავისი აზრის და ოცნების დასურათება. 9) შეძერწული საგნების გამოწვა, ქურის აშენება, ჩაწყობა და შეკეთება.

შენიშვნა: ა) სასურველია, რომ შეძერწაც, როგორც ხატვა ბირველი წლიდანვე დაიწყებინონ, რადგანაც ეს ძლიერ შველის ბავშვს ფორმის შესწავლაში, ხატვა სჯობიან დაიწყონ ფერადი კარანდაშებით, რადგანაც ადვილი სახმარებელია და ნაკლებად დაითხუჭნებიან ბავშვები. შეძერწისათვის საჭირო თითო ბავშვს თითო ბრტყელი ფიცარი ედგას

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინ სიგრძით 8 და სიგანით 4 ან 5 გოჯი, რომელზედაც აგეთებენ ქანდაკებას. თიხა მთელი კლასისათვის საერთოდ უნდა აიზიდოს და ინახებოდეს სველად კოდში ან კასრის მაგვარ ჭურჭელში და სურვილისამებრ გუნდებად ამოიღებენ.

ბ) ხატვა-ხაზვისათვის ბუნება იძლევა აუარებელს მასალას, მხოლოდ მასწავლებლის საქმეა იმისი კონცენტრიულად დალაგება, მოწაფეებში ხალისის აღძვრა და ტექნიკის სიადვილე. ამ პროგრამის მიხედვით უველა განყოფილებაში თითქოს ერთი და იგივე მოთხოვნილებაა, მაგრამ პროგრამა თანდათან ფართოვდება ახალი ცნობების შეძენით. ტემებიც ხატვისათვის თავიდანვე თითქოს ერთი და იგივეა, მაგრამ სიძნელე შესრულებაში და მოთხოვნილება სხვა და სხვა უნდა იყოს: მასწავლებლის-საქმეა, ამ შემთხვევაში, წესიერად ახატვის მასალის მომიწოდებით იმდენად გაუადვილოს მოწაფეს მიცემული ტემა, რომ მას ადვილად შეეძლოს მისი შესრულება; ეს კი შესაძლებელია მასალის თან და თანობით მიცემით, ადვილიდან მოძნელოზე გადასვლით და სისტემატიურად სწავლებით, რომლის დროსაც დაცული უნდა იქმნას, მოწაფის ხალისი და შემოქმედება მუშაობაში.

გაკვეთილებ ს რაოდენობა კვირის განმავლობაში

	I განყ.	II განყ.	III განყ.	IV განყ.
1. ქართული ენა წერით	8	7	6	5
2. არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია	6	6	5	5
3. საუბარი და ბუნების მეტყველება .	2	3	3	4
4. საშობლოს შესწავლა და გეოგრაფია	—	—	2	2
5. ისტორია . . .	—	—	2 *)	3
6. ფიზიკური ვარჯიშობა (გიმნასტიკა)	2	2	2	2
7. სიმღერა-გალობა .	2	2	2	2
8. ხატვა-ხაზვა . .	2	2	2	2
9. ხელგარჯილობა .	2	2	2	1
	24	24	24	26 26

სახალხო სკოლის პროგრამის ზოგადი ახსნა-განმარტება.

ვიდრე სახალხო სკოლის პროგრამის ზოგად ახსნა განმარტებას შეუდგებოდე, საჭიროდ მიმაჩნია გავითვალისწინოთ სახალხო სკოლის საერთო მიზანი და ის ძირითადი პრინციპები, რომელზედაც უნდა ემყარებოდეს ხალხის სწავლა განათლების საქმე ჩვენში.

დასაწყისი სკოლის მიზანს შეადგენს: ა) ბავშვის სულის ძალების განვითარება, ბ) პირველ დაწყებით უსაჭიროეს და სასარგებლო

*) მესამე განყოფილებაში ისტორიიდან სწავლობენ პირველყოფილ ადამიანის ცხოვრებას და ზოგიერთ ეპიზოდებს საქართველოს ისტორიიდან სასწავლო წლის მეორე ნახევრიდან.

ცოდნის გადაცემა და იმ ცოდნის ცხოვრებაში გამოყენება, რომ მოწაფეს გაუადვილდეს და შეეძლოს შემდეგში თვითგანვითარებით, თავისთავად უფრო მეტი საჭირო ცოდნა შეიძინოს. ეს ორივე მიზანი ერთსა და იმავე დროს ერთმანეთის მიყოლებით უნდა ხორციელდებოდეს. სასწავლო საგნებიდან ცოდნის შეძენისა და გონებრივად დამუშავების დროს მოწაფეებს ადეძვრით გონებრივად მუშაობის ხალისი, ავარჯიშებენ გონებრივს ძალებს, ვარჯიშობას კი შედეგად გონების, გრძნობისა და ნებისყოფის სიმტკიცე და განვითარება მოჰყვება. საზოგადოთ სკოლის დანიშნულება მოწაფის ბირფონებისა, მისი სულისა და სხეულის ჰარმონიულად განვითარებაში გამოიხატება. მართალია, სკოლა მოწაფეს ბრაქტიკულ ცხოვრებისათვის ამზადებს, მაგრამ დასაწყისი სახალხო სკოლის მოწაფეები არ არიან სპეციალისტები ამა თუ იმ შრომის დარგში; სკოლა მოწაფეებს მხოლოდ ცოდნას აძლევს და უნერგავს ისეთს ჩვეულებას, რაც კი საჭიროა ყველა ადამიანისათვის, რა სპეციალობაც უნდა აირჩიოს მან სკოლიდან გასვლის შემდეგ. ამას გარდა სკოლამ უნდა შეაგნებინოს მოწაფეებს ის აუარებელი კავშირი, რომელიც არსებობს კერძო ადამიანის ბირადსა და საზოგადოებრივის ინტერესების შორის, რომ ბირადი სიკეთე განუყოფელია საზოგადოებრივის სიკეთისაგან; სკოლამ უნდა განუდვიძოს მოწაფეს საზოგადოებრივი გრძნობები და სურვილი ემსახუროს არა მარტო თავის თავს, არამედ თავის მოქალაქეთა საერთო ინტერესებსაც, რომელთანაც ყოველი ადამიანი მრავალ ნაირად გადამბულია ეკონომიურად, სახელმწიფოებრივად, სოციალურად და სხვ.

სკოლაში ცოდნას მოწაფეები უნდა იძენდნენ არა მარტო წიგნებიდან, არამედ გარესამყაროს ქვეყნისადმი დაკვირვებიდანაც, ცდებით სარგებლობით ცოცხალ სინამდვილეში. ყოველ ცოდნას მხოლოდ მაშინ ექნება სიმკვიდრე და ღირებულება, რაც იგი მოწაფის საკუთარი დამოუკიდებელი მუშაობის ნაყოფია. ამიტომაც ახლანდელი სწავლების მეთოდებიც ისეთი უნდა იყოს, რომლის დროსაც მოწაფე, შეძლებისა დაგვარად, ხშირად შესასწავლ მოვლენათა მკვლევარი და მაძიებელია, ამასთან შეძლებაც უნდა ჰქონდეს, რომ მოწაფემ ხშირად გამოიჩინოს საკუთარი შემოქმედებითი მუშაობა, თავისი ინიციატივა.

სკოლა და მის გარეშემო სინამდვილე ერთ მთლიანად მზიდროდ უნდა იყვეს ერთმანეთთან შეკავშირებული, რომ სწავლება ცხოვრებიდან გამოშიდინარეობდეს და ბოლოს მასვე უბრუნდებოდეს. სკოლამ თან და თან უნდა მიაჩვიოს მოწაფე, რომ იგი ცხოვრებიდან იღებს მშრალ განცალკევებულს ფაქტებს, მასალებს, დაამუშავებს მათ და გასაზოგადოებულის, აზრიანი ცოდნისა და მოქმედების სახით უკანვე უბრუნებს. მეორე მხრით სკოლამ უნდა მიაჩვიოს მოწაფეები წიგნებით სარგებლობას, როგორც ცოდნის დაუშრეტელ წყაროს, ცხოვრებაში საქმით გამოსაყენებელს და როგორც თვით განვითარებისა და თვით ადზრდისათვის საუკეთესო საშუალებას. რასაკვირველია, ამავე დროს აუცილებლად საჭიროა, რომ მოწაფეები მიეჩვიენენ წიგნების არჩევასაც და კითხვას სისტემატიურად და არა უთავბოლოდ. ყოველი მასალა, რასაც კი მოწაფეებს სკოლაში მიაწოდებენ, სიგრცითა და შინაარსით სასტიკად უნდა ეგუებოდეს მოწაფის ფსიხო-ფიზიკურ აგებულობას. ეს შეადგენს აწინდელი სადა პედაგოგიკის აუცილებელს მოთხოვნილებას. ამი-

ტომ დღევანდელი ჩვენებური სკოლა საერთოდ და სახალხო კერძოდ, თანახმად საპედაგოგიო მეცნიერებისა, დასავლეთ ევროპისა და ამერიკის მაგალითების მიხედვით, რაკი განთლებულ ქვეყნებთან დაახლოვებას ვცდილობთ, ძირითად რეფორმებს იხოულობს. და ამ მოსაზრებით ვცდილობდით, შეძლებისა დაგვარად, სადი პედაგოგიური პრინციპები გაგვეტარებინა წარმოდგენილს პროგრამებში.

ყველასთვის ცხადია, რომ დღემდის სკოლაში მოწაფეები და მასწავლებლებიც მძიმე შრომას ეწეოდნენ, აუარებელ ძალსა და ენერგიას ხარჯავდნენ, მაგრამ ნაყოფი კი ფრიად მცირე იყო. ტოდნა, რასაც ბავშვები სკოლაში იძენდნენ, მოკლე ხანში სრულიად ჭქრებოდა, მალე ავიწყდებოდათ და ამიტომ შემდეგი განვითარების მტკიცე საფუძველს სასკოლო ტოდნა ვერ შეიტანდა.

მართალია, ჩვენშიც ითოო ორორა მასწავლებელი, ასე თუ ისე, ცდილობდა ახალი მეთოდებით სარგებლობას, მაგრამ ამას მხოლოდ შემოხვევითი ხასიათი ჭქონდა, არ იყო მუშაობის საერთო გეგმა, არ გვქონდა საჭირო სახელმძღვანელოები და სწავლაში ხელსაწყოები და არც მასწავლებლები უჭერდნენ ერთმანეთს მხარს და, რასაკვირველია, განცალკევებული ძალით ძნელი იყო ახალი გზის გაკაფვა. დღეს-კი, იმედია, თავისუფალი დემოკრატიული სახელმწიფო და ჩვენი ერობა ხალხში სწავლა განათლების გავრცელების საქმეს იმდენად შეუწყობს ხელს, რომ მრავალ დაბრკოლებას გადალახავს და ხალხის განათლებისათვის ორთერს დაიშურებს.

წარმოდგენილი პროგრამა სახალხო სკოლის ოთხი წლის კურსს შეიტანს და აკმაყოფილებს როგორც აწინდელ სადი პედაგოგიკის, აგრეთვე დღევანდელი ცხოვრების მოთხოვნილებასაც, შინაარსით ხსენებული პროგრამა სრულიად პირველ დაწყებითი სკოლის პროგრამას შეიტანს; შეიძლება და მოსალოდნელიც არის, რომ თავდაპირველად ამ პროგრამის ცხოვრებაში სრულიად გატარება შეუძლებელი გახდეს მრავალ დამაბრკოლებელ მიზეზების გამო, მაგრამ იგი არც სავალდებულოდ მიგვაჩნია, მას მხოლოდ რჩევის ხასიათი აქვს და ადგილობრივი პირობებისა და გარემოებათა მიხედვით, მისი შეცვლა, შემოკლება ან შევსება მასწავლებლის უნარზე უნდა იქმნეს დამოკიდებული. ცხოვრებას ხშირად ახალ-ახალი პირობები მოაქვს, სასკოლო პროგრამაც იმ პირობებს უნდა შეეგუოს და იმის მიხედვით უნდა იცვლებოდეს კიდეც; რადგანაც არც ჩვენია უველგან ერთგვარი ადგილობრივი პირობები, ყოველ ადგილს საერთოს გარდა თავისი კერძო ცხოვრებისა და ეკონომიური პირობებიც აქვს, ამიტომ ეს სახალხო სკოლის პროგრამაც, რომელიც საერთო გეგმას შეიტანს, ადგილობრივი პირობების მიხედვითაც უნდა შეიცვალოს.

პროგრამაში სასწავლო მასალები განყოფილებათა შორის თან და თანობით არის განაწილებული კონცენტრიულს წესზე; პროგრამაშივე არის გატარებული სწავლების ახალი მეთოდი, რომელიც ხელს შეუწყობს მოწაფის პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას და სალიტერატურო ენის შესწავლას. კონებრივი, ზნეობრივი განვითარება და მასთან ენის ცოდნაც მთავარი დანიშნულებაა სახალხო სკოლისა. კონების განვითარებამ ხელი უნდა შეუწყოს მოწაფეს, რომ მან თავისთავად ანგარიში გაუწიოს გარშემო არსებულს ცხოვრებას, ბუნებას, მის კანონებსა და კითხვებს, რასაკვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რგელია იმდენად, რამდენადაც იგი მოწაფის ასაკის შესაფერი იქნება.

დიდი ნაკლი ყველა სკოლისა ჩვენში ბავშვის ფსიხოლოგიის უყურადღებობაში და განუვნებულ სწავლებაში გამოიხატებოდა, რომლის დროს წიგნში გაზეპირება თვალსაჩინო სწავლებას სჯარბობდა. ამ ყველად კი პედაგოგიკაში სრულ ჭეშმარიტებად არის აღსარებული, რომ სახალხო დასაწყისი სკოლის ასაკის ბავშვი მხოლოდ კონკრეტიულად აზროვნებს, განუვნებელ აზროვნებისათვის იმას ძალა არ შესწევს. განუვნებული აზროვნებაც ბავშვს უფრო სწრაფად და წესიერად უვითარდება, მაშინ, როცა მას თვალსაჩინო, კონკრეტიული მასალები ბლოშად მოეპოება. ყველა მასწავლებელმა იცის, რა ძნელად ითვისებს ბავშვი ისეთს ცნებებს, რომელიც თვალსაჩინო წარმოდგენილებასთან არ არის შეერთებული. ეს გარემოება გვაიძულებს, რომ ამა თუ იმ საგნის სწავლება შეძლებისა და გვარად თვალსაჩინოდ ვაწარმოთ და სასწავლო მასალიდან თავიდანვე განვდევნოთ ყოველი განუვნებული ცნება, რომელსაც თან არ ახლავს შესაფერი კონკრეტული წარმოდგენილება.

მეორე მოთხოვნილება აწინდელის პედაგოგიკისა მოწაფეთა თვით მოქმედებაა. ძველი პედაგოგიკა ისეთს პირობებში აყენებდა მოწაფეს, რომ იგი განუძრეველად უნდა მჯდარიყო ერთს ადგილას და ყური ეგდო მასწავლებლისათვის; ეს კი, როგორც მოგეხსენებათ, ბავშვის ბუნების წინააღმდეგია და ის ცოდნაც, რასაც ბავშვი ამ გზით იძენდა, მეტის მეტად სუსტი იყო და ვერც ღრმა კვალსა სტოვებდა მისს სულში. მკვიდრი მხოლოდ ის ცოდნაა, რაც ბავშვს თავისთავად, თვით მოქმედებისა და საკუთარის ცდის საშუალებით შეუძენია.

სკოლამ მოწაფეს სწავლის სალისი უნდა აღუძრას, შეაჩვიოს, რომ დამოუკიდებლად, თავისთავად მოიკლას სწავლის წყურვილი და არ მიიღოს მხოლოდ მზამზარეულად შემუშავებული ცოდნა, რაც დღემდის სწარმოებდა სკოლაში. ამ შემთხვევაში მასწავლებელი მხოლოდ დახმარებას უწევს მოწაფეს მის მიერ სწავლის შეძენაში. მთავარი მოქმედი პირი მოწაფეა და არა მასწავლებელი: ოფველთვის და მუდამ ბავშვები კი არ უსმენენ მასწავლებელს, არამედ ხშირად მოწაფეებიც თავიანთ აზრს იმის შესახებ, რაც თავისთავად გაუგიათ და შეუნიშნავთ, უზიარებენ მასწავლებელს, რომელიც ბავშვების გულისყურს სასურველს მიმართულებას აძლევს და ხელს უწყობს, რომ მოწაფეები უკანასკნელ დასკვნამდე თავის თავად მივიდნენ. თუ ძველი პედაგოგიკა ამოს კომენიუსიდან პესტალოცამდე თხოულობდა მოწაფეს მხოლოდ ყური ეგდო მასწავლებლისათვის, თუ პესტალოციდან დღემდე მოწაფესგან თხოულობდნენ ყურისაგდებასა და დაკვირვებას, დღევანდელი პედაგოგიკა მოწაფეთაგან თხოულობს ყურის გდებას, დაკვირვებასა და მოქმედებას, დამოუკიდებელ მუშაობას.

მართალია რამდენადაც სკოლა შესძლებს, რომ მეტი თვით მოქმედება გამოიწვიოს ბავშვებში, გაკვეთილზე იქნება, თუ გაკვეთილების გარეშე, მაინ უფრო დიდს სარგებლობას მოუტანს იგი მოწაფეს. მაგალითად ყველა ბავშვს აქვს მიდრეკილება შეაგროვოს სხვა და სხვა სახალისო ნივთები, საგნები, ყველა ბავშვს უყვარს სურათები: შეიძლება ბავშვებს წინადადება მისცეთ შეაგროვონ სურათები და მოიტანონ კლასში სამუშაოდ. მოტანილ სურათებს ბავშვები დირსების მიხედვით შეაფასებენ, გამოჭვენენ კლასში, რაც მხატვრულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გემოვნებისა და კრიტიკული ნიჭის განვითარებას ხელს შეუწყობს. ბავშვების მიერ მოტანილ მცენარეების, ქვების, მწერებისა და სხვა და სხვა საგნებისაგან შესდგება მთელი კოლექტიები და სასკოლო მუზეუმი და ეს, როგორც მოწაფეების მიერ შეგროვებული, მათთვის განსაგებიც იქნება და ძვირფასიც. დირს მხოლოდ ბავშვებს ჩაგონოთ ხელსაწერ ყურნალის გამოტება, შედგენა, ილინიც სიამოვნებით, ალტაცებით და დიდის ხალისით ჩაიტანენ შიგ თავიანთ შთაბეჭდილებას, სურათებს და სხ. სალიტერატურო დილაზე ბავშვები ალიმახვებიან კითხვაში და დეკლამაციაში, თვითონ აირჩევენ და შეისწავლიან საუკარელ მწერლების ნაწერებს; ასეთი დღესასწაულის მოწყობაზე მასწავლებელს დიდი შრომა არ დასჭირდება, თვითონ ბავშვები მოაწყობენ თავიანთ ძალღონით, საჭირო იქნება მხოლოდ მასწავლებლის ნებართვა და ზოგიერთი დახმარება მეტია იმის მტკიცება, თუ რა დიდი გავლენა აქვს ეგელა ამას ბავშვის განვითარებაზე, ვიტუვი მხოლოდ, რომ ასეთი მუშაობა კაცილებით მეტს ცოდნას მისცემს ბავშვს, ვიდრე დაყინებული მუშაობა და გაკვეთილებზე მუდამ წიგნებში ჩაკირკიტება.

დადგანდელი ფსიქოლოგიის მიხედვით ანგარიშ გასაწევია ბავშვის ფიზიკური ბუნებაც. ტოტა ხნის წინად სკოლას აინტერესებდა მხოლოდ მოწაფის ინტელექტუალური ცხოვრება, მაგრამ იმავე დროს ავიწყდებოდა, რომ ბავშვის გონებრივს ცხოვრებას მჭიდრო კავშირი აქვს მის ფიზიკურ ბუნებასთან. რაცა სკოლა ბავშვის ეგ ეგელ მხრივ განვითარებას ისახავს მიზნად, იგი უნდა ზრუნავდეს მოწაფის რაგორც სულის, ისე მისი ფიზიკური ცხოვრების ორგანოების განვითარებაზედაც. უკანასკნელი ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგური გამოკვლევით დასტურებულია, რომ ტვინის ცენტრში, რომელიც გარეგან ქვეყნის შთაბეჭდილებათა შესაგნებად არის დანიშნული, შეხების გრძნობას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მხედველობასა და მსმენელობას. ამის გამო აწინდელი პედაგოგიკა სწავლებას ამყარებს არა მარტო სმენა—მხედველობაზე, რაგორც დღემდის იყო, არამედ შეხებაზედაც და კუნთების გრძნობაზედაც. ამის მიხედვით სასკოლო პროგრამაში ეგელა საგნის სწავლების დროს **ხელგარჯილობას**, ზოგადის განათლებისა და არა ხელოსნობის შესწავლის მიზნით, დიდი ადგილი აქვს დათმობილი. ხელგარჯილობის შემოღებით სკოლას ორს უმთავრეს ნაკლს მაინც მოვაშორებთ: სწავლებაში შევიტანთ მეტს თვალსაჩინოებას, ამით ავიცილებთ განყენებულად სწავლებას და იმავე დროს ბავშვის ბუნების მოთხოვნილებაც, რაცა უმაწვილს შეამთხვევა მიეცემა მისი ფიზიკური ძალა საქმეში გამოიყენოს, დაკმაყოფილებული იქნება.

მეცნიერებამ უკვე სცნო ხელგარჯილობის საამღზრდელო მნიშვნელობა*). ვერსად ბავშვი ისე ადვილად ვერ იჩენს საკუთარს ინიციატივასა და მხატვრულ შემოქმედებას, როგორც ხელგარჯილობაში. ვერც ერთი სხვა მუშაობა ვერ ასწავლის მოწაფეს თავის თავისადმი დაკვირვებას, ვერ წრთვნის მას, ვერ აჩვევს სინამდვილესა და წესიერებას, რაგორც ხელგარჯილობის დროს მუშაობა. რაცა ბავშვები ხელგარჯილობის დროს რომელსამე კოლეკტიურს საამუშაოს ასრულებენ, მათში ეგე-

*) უფრო ვრცლად ხელგარჯილობის შესახებ იხილეთ ჩემი წიგნაკი „სკოლა და საპროფესიო განათლება“